№ 222

პარასკევი, 9 დეკემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 223

პარასკევი, 9 დეკემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვს, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ტფილისის ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, ვითომც მიმდინარე ნახევარ წლის ბანკში შემოსატან გადასახადის ვადა გადაგვედოს,—სიმართლეს მოკლებულია. (1—1)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, თუ ვისმე აქვს დაწერილი თხზულება თავ. გრიგოლ დადიანის პრემიის მისაღებად, უნდა წარმოადგინოს იგი 1906 წ. 1 იანვრისათვის.

თ. გრიგოლ დადიანის პრემია—400 მ.—მიეცემა მას, ვინც შეადგენს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას ქართულ ენაზე: 1) **საქართველოს წარსულ ცხოვრების შესახებ; 2) ქართულის ენის შესახებ და 3) ქართულის ძველის ან ახალის მწერლობის შესახებ.** (3—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი

საოპერეტო არტისტთა ამხანაგობის მიერ დღეს, 9 დეკემბერს, 1905 წ. წარმოდგენილი იქნება

ლისა პატრიკეევნა

(„ქ-ნი ნიტუში“)

კომიკური ოპერეტა 3 მოქმ. და 6 სურ., მუს. ჰერვესი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დონსკაია-ეიხენვალდი, ნიკიტსკაია, ეგოროვა, ოსტროვსკაია, ლოსევა; ბ-ნნი კარელინი, ვოლსკი, დრაკული, ტომაშევიჩი, სიმბირინი, დემიანენკო.

ბალეტს გამგე ბ. ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კაპელმეისტერი: ი. ბ. ფულიაშვილი.

რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ადგილების ფასი 8 დეკემბრიდან დაკლებულია.

ანონსი: შაბათს, 10 დეკემბერს, არტისტის მ. ბ. სოკოლსკის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქნება **1) „სევილიელი დალაქი“** და **2) საკონცერტო განყოფილება.** მზადდება წარმოსადგენად **„თავადი იგორი“, „როგნედა“** და **„ნატვრის თვალი“.** ბილეთები იყიდება.

მოწაფეებისთვის ბილეთები იყიდება ყველა წარმოდგენებისა 50 კაპ., მაგრამ მოწაფეები უთუოდ ფორმის ტანისამოსში უნდა იყვნენ.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ჟორდანიოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავოტი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ე. მ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შაკიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ხაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ხძილიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. მ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 7—$7^{1}/_{2}$ საათ.

ს. აზიანცი—შინაგან ავადმყ. 7—$7^{1}/_{2}$ საათ.

მ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **მ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე ა. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) ხუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სიდოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუხხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, **№ 11.** მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა საშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტუღუშიშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფოლიერის სახლის № 157

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

ეროვნული ავტონომია და სოციალ-დემოკრატია

მკითხველმა იცის, თუ როგორ უცქერის ჩვენებური სოციალ-დემოკრატია ეროვნულ ავტონომიას და რა ხასიათს აწერს იგი ამ ავტონომიის მოთხოვნას. მთელის წლის განმავლობაში, თავის, როგორც ლეგალურს, ისე არა-ლეგალურ ორგანოებში, როგორც წერით, ისე სიტყვით, ეს პარტია სასტიკ ბრძოლას უცხადებდა დღემდის ყველას, განურჩევლად სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებისა, ვინც კი ჩვენში ეროვნულ ავტონომიის მხარს უჭერდა და ავტონომიის განხორციელებას ჩვენის ხალხისთვის სასარგებლოდ და საკეთილოდ სთვლიდა. ჩვენი სოციალ-დემოკრატები ავტონომიას უარჰყოფდნენ, როგორც პრინციპიალურად, ისე ტაქტიკურის მოსაზრებითაც და უმტკიცებდნენ მუშა-ხალხს: ავტონომიის განხორციელება თქვენ დაგაშორებთ რუსეთის საერთაშორისო პროლეტარიატს და ადგილობრივ ბურჟუაზიის მსხვერპლად გაგხდითო. ეროვნულ ავტონომიების დაწესება რუსეთში დაასუსტებს მთელის იმპერიის მებრძოლ ელემენტების ძალას და გააძლიერებს რეაქციონურ მთავრობას, მტრებს დაუქსაქსავს ბურჟუაზიას და, მაშასადამე, გააძლიერებს ბურჟუაზიის ბატონობასაცო. ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიის მეთაურ-იდეოლოგებმა ისეთი სიმწვავე და აღელვება შეიტანეს ამ საკითხის გარკვევაში, ისე შეხურდნენ და შორს წავიდნენ პოლემიკაში, რომ დღეს, უეჭველია, ჩვენში მოიპოვება არა ერთი და ორი რაზმის სოციალ-დემოკრატი, რომელიც, მათი ნაწერების გავლენით, გულწრფელად არის დარწმუნებული, რომ სოციალდემოკრატიულ მოძღვრებასთან მართლა შეუთანხმებელია მოთხოვნა ეროვნულ ავტონომიისა. რასაკვირველია, ნამდვილად არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან შეუძლებელია თვითმართველობასა და ხალხის დაუბრკოლებელ კულტურულ განვითარებას უარჰყოფდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ნამდვილად ის მოძღვრება, რომელიც ყოველგვარ დაჩაგვრისა და შევიწროების წინააღმდეგაა მიმართული. მაგრამ სხვა პარტიებთან ბრძოლის ტაქტიკამ და პოლემიკურმა გატაცებამ ადგილობრივ სოციალდემოკრატიის იდეოლოგები, როგორც ვთქვით, ძალიან შორს წაიყვანა, ავტონომიის საკითხი, არა თუ ტაქტიკურ ნიადაგზე, პრინციპების ნიადაგზედაც გადაატანინა და მის შესახებ ბევრი ისეთი რამ ათქმევინა და დააწერინა, რასაც, გვგონია, სხვა დროს,—უფრო გულგრილად, დამშვიდებულად,—არ იტყოდნენ და არ დასწერდნენ.

გვგონია ასე, რადგან სოციალდემოკრატიული მოძღვრება პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგება ეროვნებათა თვითმართველობას და ხალხთა პოლიტიკურ ფედერაციას, ამას, თვით მოძღვრების შინაარსის ცოდნის გარდა, გვიმტკიცებს ამ ბოლო დროს ამ საგანზე გამოთქმული აზრი რუსეთის სოციალდემოკრატებისა. ამ რამდენისამე კვირის წინად, პეტერბურგში დაარსდა დიდი სოციალდემოკრატიული ორგანო „ნაჩალო“, რომლის პირველსავე ნომერში რედაქციამ გამოსთქვა თავისი აზრი ეროვნულ საკითხის შესახებ და გამოაცხადა, რომ მას ამ საკითხის სასურველ და შესაფერ გადაწყვეტის მაგალითად შვეიცარიისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების წესწყობილება მიაჩნია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოს რედაქციამ აღიარა პრინციპი რუსეთში მცხოვრებ ეროვნებათა ავტონომიის და ფედერაციისა, ე. ი. სწორედ ის პრინციპი, რომელსაც ყოველის ღონისძიებით ებრძოდა და უარჰყოფდა დღემდის ჩვენებური სოციალდემოკრატია.

„ნაჩალოს“ გარდა ამავე საგანზე სხვა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანოებმაც გამოსთქვეს გარკვეული აზრი და მხარი დაუჭირეს ეროვნებათა ავტონომიას. მაგალითად, გაზ. „ბორბა“-ს მე-5 ნომერში დაბეჭდილია წერილი, რომელიც რუსეთში, მოსალოდნელ რეაქციას, შეეხება. ამ წერილში ავტორი განმარტავს რეაქციის შანსებს, არკვევს, თუ რამდენად შესაძლებელია რუსეთში რევოლუციის შემდეგ ცეზარიზმის გამარჯვება, და იმ დასკვნამდის მიდის, რომ ასეთი გამარჯვება საფიქრებელი არ არისო. გაზეთის აზრით, მოპოვებულ თავისუფლების შესანარჩუნებლად და რეაქციის დასამარცხებლად დიდი მნიშვნელობა ექნება ეროვნულ ავტონომიებს,—ავტონომიათა არსებობა რუსეთში ხელს შეუშლის ტახტის მოცილეთა და რეაქციის მეთაურთა გამარჯვებასო.

„მონარქიულ რეაქციის წინააღმდეგ—სწერს გაზეთი—საუკეთესო საშუალება იქნება **პოლიტიკური ავტონომია** განაპირა ქვეყნებისა. ეს საკითხი პოლონეთის შესახებ უკვე გადაწყვეტილია, ხოლო სხვა ოლქების შესახებ ხვალ-ზეგ გადაწყდება. იმ დროს, როცა დაწესებული იქნება ავტონომია განაპირა ქვეყნებისა, რომელთა დამოკიდებულება რუსეთის მონარქიასთან სავსებით გარკვეულია, ვერც ერთი ტახტის მოცილე ვერ შესძლებს ისე ადვილად და სწრაფად შეასრულოს თავისი საქმე, როგორც ეს შესაძლებელი იყო ბიუროკრატიულ მექანიზმიან საფრანგეთში. არ შეიძლება სატრაპობა მთელის ერთ მეათედში; მაშინ ცხრა მეათედი ადვილად მოაქცევინებს ერთ მეათედს. ამ შემთხვევაში ცეზარიზმს დასჭირდება მოქალაქეთა უფლებების დარღვევა არა მარტო ერთ რომელსამე მხარეში, არამედ მრავალს, **ავტონომიურ ეროვნულ ერთეულებში.** ამგვარს პირობებში ცეზარიზმის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებით დასრულებულ სამოქალაქო ომის შემდეგ. და ეს მოვლენა კი ძალიან საეჭვოდ ჩასათვალი არის“.

როგორც ხედავთ, სოციალდემოკრატიული ორგანო „Борьба“ არა თუ აღიარებს და მხარს უჭერს ეროვნებათა ავტონომიას, არამედ ამგვარ ავტონომიებს საუკეთესო წამლადაც სთვლის ცეზარიზმის გესლის წინააღმდეგ.

უნდა ვიფიქროთ, რომ რუს სოციალდემოკრატთა ასეთი გარკვეული აზრი ეროვნულ საკითხის შესახებ გავლენას იქონიებს ჩვენებურ სოციალდემოკრატებზე და იმათ წინანდელ შეხედულებას შეაცვლევინებს საქართველოს ავტონომიაზე.

ეს ცვლილება დიდ სარგებლობას მოუტანს თვით სოციალდემოკრატიულ პარტიას. დღეს ბევრნი განზე დგანან მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიის მიერ პოლიტიკურ ცენტრალიზმის მომხრეობას ვერ ურიგდებიან. საქართველოს ავტონომიის აღიარება პარტიას შემატებს მრავალ ხალხსა და მასთან ერთად თვალსაჩინო ზნეობრივს და გონებრივ ძალას.

საჭირო განმარტება

„ივერიის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ —ძისა: „გამორკვეულიცაა და გამოურკვეველიც“, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შესახებ ასეთ ფრაზას ურთავს: „ჩვენ არ გამოვუდგებით იმის გამოკვლევას, თუ ეს პარტია რამდენად სოციალისტურიაო“. ხსენებული წერილი, მუშაობის სიჩქარის გამო, რედაქციის მხრივ უშენიშვნოდ არის დაბეჭდილი და ამიტომ მკითხველს შეუძლია იფიქროს, რომ რედაქციაც ბ-ნ —ძესავით საეჭვოდ სთვლის ქართველ ფედერალისტთა სოციალისტობას. ეს ფიქრი კი სინამდვილის გამომხატველი არ იქნება და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი განმარტება.

ყოველი პარტია თავის პრინციპებსა და სოციალ-პოლიტიკურ მისწრაფებას გამოსთქვამს ხოლმე საპარტიო პროგრამაში. იმ ახლად დაარსებულ პარტიებს, რომელთაც დაწვრილებითი პროგრამა ჯერ კიდევ არ შეუმუშავებიათ, ჩვეულებრივ აქვთ შემუშავებული მთავარი პრინციპები და ამ პრინციპების თანახმად მოქმედობენ პრაქტიკულადაც. პარტიის დახასიათებაც მხოლოდ საპროგრამო პრინციპებისა და პრაქტიკულ მოქმედების საფუძვლით არის შესაძლებელი. თქმა იმისი, რომ ამა თუ იმ პარტიას პროგრამაში ერთი უწერია, ხოლო გულში კი ნამდვილად სულ სხვა რამეს ეტრფიალებაო,—ნიშნავს სხვის გულში უსაფუძვლოდ ხელის ფათურს და შეუწყნარებელ ეჭვიანობას. ყოველ პარტიის იდეალები უნდა ცნობილ იქმნას იმის მიხედვით, თუ რას წერს და რას ჰქადაგებს პარტია საჯაროდ, და არა იმ ეჭვის საფუძვლით, რომელიც ამა თუ იმ პირს მოეჩვენება.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას რამდენიმე წიგნი აქვს დაბეჭდილი; მისი წარმომადგენლები საჯაროდ სიტყვებს ამბობენ, პარტიულ ორგანიზაციას აწყობენ და ცხადია, ასეთ გარემოებაში შეუძლებელია არ ჩნდეს პარტიის იდეალი და მისწრაფება. ამიტომ,—თუ ბ-ნი—ძე იცნობს ხსენებულ პარტიის პროგრამასა და ნაწერებს,—ჩვენ გაუგებრად მიგვაჩნია, თუ როგორ სთვლის იგი საეჭვოდ ამ პარტიის სოციალისტობას.

ფედერალისტთა პარტიას თავის იდეალად, თავის მიზნად დასახული აქვს სოციალიზმი და ეს მსხვილის ასოებითაა გამოხატული ყველა მის ნაწერებში. ეს არის პროგრამის მაქსიმუმი, რომლის სრულს განხორციელებას, როგორც ყოველი სოციალისტური პარტია, მერმისში სთვლის შესაძლებლად და არა—დღესა. საამდროისოდ კი პარტია მოითხოვს პოლიტიკურის მხრივ: საქართველოს ავტონომიას დემოკრატიულ საფუძველზე; პროლეტარიატის შესახებ—ყველა იმ ზომებს, რომელთაც თხოულობს სოციალდემოკრატია, და გლეხობისთვის—მიწის დარიგებას, მთელი მიწის მწარმოებელ მეურნეთა საზოგადო საკუთრებად გამოცხადებას. პარტიის აზრით, გლეხთა პროლეტარიზაცია და მეურნეობაშიაც მსხვილ წარმოების გამეფება, ნაცვლად წვრილისა, არ არის აუცილებელი პირობა სოციალიზმის განსახორციელებლად და ამიტომ იგი დარწმუნებულია, რომ, როცა თხოულობს მთელის გლეხობისთვის საერთო საკუთრებად მიწის გადაცემას, არ ეწინააღმდეგება და არ აფერხებს თავის იდეალის—სოციალიზმის—განხორციელებას.

მაშასადამე, მთავარი განსხვავება, მაგალითად, სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს შორის მდგომარეობს შემდეგში: ჩვენებური სოციალ-დემოკრატია მომხრეა ცენტრალისტურ რესპუბლიკისა, ფედერალისტები კი მომხრეობენ ფედერატიულ რესპუბლიკას, სადაც საქართველო ფედერაციის შემადგენელი ერთ-ერთი ავტონომიური ერთეული უნდა იქმნეს. სოციალ-დემოკრატია თავის თეორიასთან შეუთანხმებლად სთვლის გლეხობისთვის საერთო საკუთრებად მიწის მიცემას, რადგან მას პროლეტარიზაციის აუცილებლობა და სოციალიზმის განსახორციელებლად მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა სწამს; ფედერალისტთა პარტიას კი მრავალრიცხოვან მეურნე გლეხთა არსებობა არ მიაჩნია სოციალიზმის დამაბრკოლებელ მიზეზად და ამიტომ მომხრეობს დღესვე მიწის სოციალიზაციის. სოციალური მიზანი კი ორივე პარტიისა—სოციალ-დემოკრატიულის და ფედერალისტურისა—არის სოციალიზმი და ამიტომ ორივე სოციალისტური პარტიები არიან.

მაგრამ საბოლოო მიზანი პარტიების გამაერთიანებელი საშუალება არ არის. თუმცა ორივე პარტია სოციალიზმს აღიარებს,—ისინი ერთმანეთის მოცილე და ხშირად მოწინააღმდეგენი არიან, რადგან თითოეულს თავისი გზა მიაჩნია სწორად სოციალიზმის განსახორციელებლად.

აი, ეს განმარტება გვინდოდა ჩვენ მიგვეცა ბ-ნ —ძის წერილისთვის, რომელმაც თითქოს ეჭვი შეიტანა ფედერალისტთა პარტიის სოციალისტობაში.

პროლეტარიატი და ეროვნება

ვინ არ იცის, რომ ყოველგვარ განვითარებისათვის, კულტურულ აღორძინებისათვის ენაა საჭირო. ეს ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, განსაკუთრებით დღეს, როცა ცხოვრება პოლიტიკურ და ეკონომიურ განახლებისაკენაა მიმართული, როცა გაძლიერებულია მოთხოვნილება განახლებისა და უკეთეს მერმისის შექმნისა, და ამისთვის კი აუცილებლად საჭიროა პროპაგანდა, ცოცხალი სიტყვა და ლიტერატურა მშობლიურ ენაზე.

ვინ უნდა იკისროს, ამ განახლების მომენტის დროს, ხალხის წინამძღოლობა, ერის მოძრაობის სათავეში დგომა, მის საჭიროებათა და მისწრაფებათა ბარომეტრობა? ვინ უნდა მიაწოდოს ხალხს ცოცხალი სიტყვა და მწერლობა, ურომლისოდაც მას არ შეუძლიან განვითარება? რაღა თქმა უნდა, იმან, ვინც ხალხის ჭირ-ვარამი თავის ჭირ-ვარამად დაისახა, ვინც ხალხის სამსახური წილად იხვედრა.

მაგრამ ხალხისთვის გულწრფელ მუშაკთ არ შეუძლიანთ თავის ხალხში ნაყოფიერი მუშაობა გარეშე მშობლიურ ენისა, რომელიც იარაღია აზრ-იდეის გადაცემისა და გაზიარებისა. მაშასადამე, ცხადია, რომ მშობლიური ენა—ცოცხალი სიტყვა და მწერლობა,—როგორც იარაღი ხალხის განვითარება-გათვითცნობიერებისა და უკეთეს მერმისის შექმნისა, ყველასაგან საზრუნავად და პატივსაცემლად უნდა იქმნას მიჩნეული; ცხადია, ზრუნვა ენის განვითარება-გამდიდრებაზე ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს, ვინაიდან იგი, როგორც ვთქვით, აუცილებელი საშუალებაა ერის კულტურულ განვითარებისა. ენისა და საზოგადოდ მწერლობის ამაღლება-განვითარება მოასწავებს ერის კულტურულ ზრდასა და განვითარებას.

ამიტომ ყველა მოწინავე პარტიების მეცადინეობა და მათში სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაც, სხვათა შორის, ამაზედაც უნდა იყოს მიმართული, რომ ყოველ ერს მიეცეს მტკიცე პოლიტიკური პირობები დაუბრკოლებელ კულტურულ განვითარებისა. სწორედ ასეთ პირობებს შეიცავს და უზრუნველჰყოფს ერის თავისუფალ განვითარებას,—ჩემის აზრით,—დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებული ეროვნული ავტონომია. ეროვნულ ავტონომიაში მშობლიურ ენასა და მწერლობას შორდება გარეშე დაბრკოლება, და ეს კი ყველაზე უფრო სასარგებლოა მუშა ხალხისთვის, ვინაიდან პროლეტარიატს მხოლოდ მშობლიურ ენისა და მწერლობის საშუალებით შეუძლიან სწავლა-ცოდნის შეძენა და გათვითცნობიერება.

ზოგიერთები ამბობენ, რომ პროლეტარს ანუ მუშას არც სამშობლო აქვს, არც მიწა, არც რაიმე კერძო საკუთრება და მარტო თავის მშობლიურ ენას რა თავში იხლისო. ასეთი მსჯელობა, ჩემის აზრით, ყოველ გონიერ ადამიანს განცვიფრებაში მოიყვანს. საკვირველია: თუ კაპიტალიზმის განვითარების მეოხებით დღევანდელმა პროლეტარმა დაჰკარგა თავისი მიწა-წყალი, თავისი კერძო საკუთრება, განა ყველა ამასთან ერთად თავის ენაც წყალს უნდა გაატანოს?! და თუ საჭიროა ენა პროლეტარიატის გათვითცნობიერება-განვითარებისთვის, რატომ საჭირო არ უნდა იყოს მისთვის ზრუნვა, განა ყოველი თავგანწირული მეომარი არ უნდა ცდილობდეს იმ მახვილის გალესვა-გაპრიალებას, რომლითაც მას სურს მტრის გულის გაპობა?! ენაც ხომ პროლეტარიატისათვის აუცილებელი საშუალებაა იმ მახვილის—კლასობრივ ბრძოლის—წარსამართავად, რომელიც მიმართულია კაპიტალისტურ წეს-წყობილების წინააღმდეგ?

მოწინააღმდეგეებმა, შეიძლება, ისიც სთქვან,—როგორც მე თვითონ გამიგონია,—რომ ენის განვითარება-აღორძინებაზე ზრუნვა განსაკუთრებით ბურჟუაზიის მოვალეობას შეადგენს, მშობლიური ენა ბურჟუაზიისათვის არის საჭირო და არა პროლეტარისთვისო, რადგან პირველი მას, სხვა საწარმოვო იარაღებთან ერთად, მეორის დასაჩაგრავად და გასაყვლეფად იყენებს.

რომ ასეთი აზრი ყოვლად სიმართლეს მოკლებულია, ამაში—მგონია—ყველა ამხანაგი მკითხველი სავსებით დამეთანხმება. ვინც კარგად ჩაჰკვირვებია ბურჟუაზიის სულის კვეთებას, მისს სულიერ-ზნეობრივ მდგომარეობას,—ის მასში აშკარად დაინახავდა მხოლოდ გამდიდრებისადმი მისწრაფებას, მხოლოდ გასუქება-გალაღებისადმი ლტოლვილებას. ბურჟუაზია ისეა დაინტერესებული და გატაცებული ამ მატერიალურ მისწრაფებით, რომ მას არავითარი მშობლიური ენა არ აინტერესებს, და, თუ აინტერესებს,—იმდენად, რამდენადაც იგი საჭიროა მისთვის ვაჭრობა-მრეწველობაში. პროლეტარიატისთვის კი მშობლიური ენა და ლიტერატურა არსებითი საშუალებაა გონებრივ განვითარებისა. ამიტომ ზრუნვა-მეცადინეობა დედა-ენის განვითარება-აღორძინებაზე ახლანდელ წესწყობილებაშიაც პროლეტარიატს აქვს დაკისრებული.

დღეს, როცა მთლად რუსეთის ხალხმა დამფუძნებელ კრების მოწვევა, ცნობილ ოთხ საარჩევნო ხმის უფლებით, თავის უახლოეს ლოზუნგად დაისახა, დღეს, როცა გამოღვიძებული და გამორკვეული ხალხი არსებულ გათახსირებულ ბიუროკრატიულ კანონებს ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას უქადის,—პროლეტარიატს, როგორც განმთავისუფლებელ მოძრაობის ავანგარდს, დიდი საქმე აქვს შესასრულებელი: ძველ რეჟიმის ნანგრევებზე მან ახალი რეჟიმი უნდა ააგოს, მან უნდა დაჰგმოს ის ცენტრალიზმი, რომელიც სულის შემხუთველია რუსეთში მცხოვრებ არა-რუს ეროვნებათათვის, უნდა უარჰყოს ცენტრალიზმი, რომელსაც პროლეტარიატის ზოგი იდეოლოგები ჰქადაგებენ, და ყველა ერებს სრული ეროვნული თვითმართველობა (ავტონომია) უნდა მიანიჭოს.

მე, როგორც სოციალ-დემოკრატი, მოვუწოდებ ყველა შეგნებულ პროლეტარებს და ყველა იმ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც პროლეტარიატისათვის ცენტრალიზმს ამ ბოლო დროს ვითომდა უფრო ხელსაყრელად სცნობენ, და ვსთხოვ, თავი დაანებონ ორჭოფობას და ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ, რომ ყველა ერის პროლეტარიატის კულტურულად აყვავება-განვითარებისათვის ფართო თვითმმართველობაა საჭირო და ფართო თვითმმართველობის გამომხატველი კი—დემოკრატიული ეროვნული ავტონომიაა.

ნ. ეგვიტიშვილი.

შეერთდით!

პ. შმიდტის წერილი *)

გლეხებისაგან ბევრი წერილი მომდის, სადაც ისეთ კითხვებს მისვამენ, რომლებზედაც ცალ-

---

*) ეს წერილი პ. შმიდტს დაუწერია რამდენისამე დღის წინედ, ვიდრე შავი ზღვის ესკადრაზე აჯანყების დროშას ამართავდა.

ცალკე პასუხის გაცემა, მოუცლელობის გამო, არ შემიძლიან. ამისთვის საერთო პასუხს ვაძლევ გაზეთის საშუალებით.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენის სოციალისტების პარტიებად დაყოფა გამოწვეულია იმის გამო, რომ დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო ხალხში თავისუფლად მოქმედება; მწამს აგრეთვე, რომ ასეთი დაყოფა დიდხანს ვერ გაგრძელდება.

მე არ შემიძლიან დავეთანხმო სოც.-დემოკრატებს, რადგანაც ეკონომიურ მატერიალიზმის თეორია ჯერ სავსებით შემუშავებულად არ მიმაჩნია. ამ თეორიას, რომელიც გვერდს უვლის ფსიხიურ ფაქტებს, არ შეუძლიან ხელმძღვანელობა გაუწიოს სოციალისტებს პრაქტიკულ მოქმედებაში. ამ თეორიის მიმდევარნი, სოც.-დემოკრატები, თავიანთ აგრარულ პროგრამაში, ამ თეორიის წყალობით, საშინელ შეცდომამდე მივიდნენ. ამ ბოლო დროს სოც.-დემოკრ. გამოდიან თავიანთ შესწორებულ პროგრამით და იძულებულნი არიან **დროებით** დაუთმონ გლეხთა არსებითს მოთხოვნილებებს. ისინი ჰპირდებიან გლეხებს რაღაც ჩამონაჭრებს და უფლებასაც აძლევენ ამ ჩამონაჭერთა გაყოფისას. ამით სოც.-დემ. სრულიადაც არა ზრუნავენ იხსნან გლეხები მომავალ გაღატაკებისაგან—მიწის დაკარგვისაგან.

სოც.-დემოკრ. არ სურთ შეიგნონ, რომ ისინი ზურგს აქცევენ გლეხთა არს-ხედვას მიწაზე (მიწა ღვთისააო), და ცდილობენ ჩამონაჭრების მომატებით აღზარდონ მათში ნამდვილი მესაკუთრენი. ისინი ცდილობენ რუსის გლეხს ხელოვნურად მოახვიონ თავზე გერმანელ გლეხის შეხედულება მიწაზე. ჩვენი სოც.-დემოკრატები ვერ ხედავენ, რომ ასეთი შეხედულება გერმანელ გლეხისა გერმანელ სოციალისტებს ძლიერ ხელს უშლის მოქმედებაში, და ამ უხეირო თეორიას მსხვერპლად სწირავენ თავიანთ უმთავრესს მიზანს—სახელმწიფო წეს-წყობილების გარდაქმნის დაჩქარებას. ის, ვინც არაფერს აკეთებს, ნაკლებად უშლის ხელს ამ განახლების პროცესს, ვიდრე რუსეთის სოც.-დემოკრატები, რადგანაც ესენი ჰქმნიან ახალ დაბრკოლებებს, რუსეთში სოციალურ წყობილების დამყარების წინააღმდეგ. ეს დღესავით ნათელია ყოველ მიუდგომელ სოციალისტისათვის. ყველა ამეების გამო აგრარულ საკითხში მე მათ ვერ ვეთანხმები.

ჩვენი სოც. დემოკრატები ცდილობენ ძალაუნებურად გადმონერგონ ჩვენში გერმანელ სოციალისტების მზა-მზარეული პროგრამა, და სრულებით ყურადღებას არ აქცევენ გერმანელ და ჩვენებურ გლეხის შეხედულებას მიწაზე.

ასეთი გადმონერგვა უცხო და შეუფერებელ პროგრამისა, აუცილებლად მავნებელია ჩვენში მიწის საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ ძლიერ საჭიროა მუშათა კითხვის საქმეში.

პროლეტარიატის მდგომარეობა ყველგან ერთნაირია, ამიტომ გერმანული პროგრამაც უნდა მიიღონ რუსეთის სოციალისტებმა.

კაპიტალისტურ წარმოების სოციალისტურით შეცვლა უნდა დაიწყოს იმით, რომ მსხვილი წარმოება—ნაწილი მაინც,—უნდა გადავიდეს თემის ხელში სოციალისტურ საფუძვლებზე.

განვითარება სოციალისტურ წარმოებისა მოხდება თავის-თავად, ბუნებრივად; ამ განვითარებას ხელს უნდა უწყობდეს კანონმდებლობაც.

მუშათა კითხვაში მე ვეთანხმები, როგორც სოც.-დემ., ისე სოც.-რევ., რადგანაც ამ მუხლში ესენი არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მიწის საკითხში კი მე ვემხრობი სოც.-რევოლუციონერებს, ჩვენ ვალდებული ვართ ვიხელმძღვანელოთ რუსის გლეხის შეხედულებით მიწაზე; ეს შეხედულება ისეთი ბერკეტია, რომელსაც მოკლებულნი არიან სხვა ქვეყნების სოციალისტები, „მიწა, ჰაერი და წყალი ეკუთვნის ღმერთსო“—ჰფიქრობს გლეხი.

ჩვენც, სოციალისტები, არსებითად ასევე ვფიქრობთ და ეს გლეხმაც იცის.

მიწა არავის ეკუთვნის, ის საზოგადოა. შეიძლება მისი დამუშავება და ამ შრომის ნაყოფით სარგებლობა, მაგრამ დასაკუთრება მიწისა არავის შეუძლიან, გარდა საზოგადოებისა.

არც ყიდვა, არც გაყიდვა მიწისა არ შეიძლება—ის საზოგადოა და ეკუთვნის ყველას.

მიწის გასაზოგადოებრივობა უნდა დაიწყოს ახლავე, თანახმად ხალხის წარმომადგენელთა დადგენილებისა.

სამეურნეო იარაღების გასაზოგადოებრივობა კი უნდა მიენდოს საკანონმდებლო საკრებულოს.

სოციალისტების მოთხოვნილებანი ცხოვრებაში გატარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საყოველთაო არჩევანი პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით. მაშასადამე, ასეთ არჩევნების მოსახდენად უნდა იყოს მიმართული ყოველი ჩვენი ძალ-ღონე.

როდესაც გლეხობა იტყვის: „მიწა ღვთისააო“, მაშინ სოც.-დემ. შემცდარი აზრი აგრარულ საკითხზე თავის-თავად გაიფანტება. ეს პროგრამა მოკვდება, როგორც მკვდრად შობილი, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს რუსის გლეხის არს-ხედვაში. ამიტომ, მე მგონია, რომ ახლა პარტიათა ბრძოლა წყლის ნაყვაა და უბრალოდ დროს დაკარგვა.

მე ვერ ვეთანხმები აგრეთვე იმ პარტიათა ტაქტიკას, რომელიც გამოსჭვირს მათ პროპაგანდაში, ამიტომ ვერ მივემხრე სოც.-რევოლუციონერებსაც, რომელთა პროგრამა, ცოტა გამონაკლით, უფრო სავსებით და ვრცლადაა შემუშავებული.

საზოგადოებრივ ევოლუციის კანონები იმდენად რთულია და ჯერ კიდევ მეცნიერებისაგან გამოურკვეველი, რომ **აქტივურად მომქმედ სოციალისტის მუშაობა უნდა გამომდინარეობდეს არა წინდაწინ დაკანონებულ ტაქტიკისაგან, არამედ საზოგადოების მომქმედ ძალთა განუწყვეტელ დაკვირვება-შერჩევისაგან.**

სოციალისტების საქმე მიმართულება მისცეს ამ ძალებს და გამოიყენოს ისინი სოციალურ წყობილების დასამყარებელ იარაღად.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ, როდესაც გლეხობა იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას, ყველა ჩვენი სოციალისტები შეერთდებიან და დააარსებენ ერთ პარტიას „სრულიად-რუსეთის სოციალისტ-მუშათა პარტიის“ სახელით.

ეს პარტია ვალდებული იქნება, თავის განათლებულ წარმომადგენელთა საშუალებით, შეიმუშაოს, ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფაქტორებთან შეთანხმებული, საშუალებანი რუსეთში სოციალისტურ წეს-წყობილების დასამყარებლად.

მე გირჩევთ, ამხანაგებო, ასეთს შეერთებას, რადგანაც მხოლოდ შეერთებულის ძალით შეიძლება დიდებულ მიზნის—სოციალიზმის—განხორციელება. („სინ ოტეჩ.“).

11 ნოემბერი, 1905 წ.

თვალით ნანახი

ქ. ყაზახი პაწია სამაზრო ქალაქია განჯის გუბერნიაში. აქა ცხოვრობენ ვაჭარი სომხები, სცხოვრობს რამდენიმე მოხელეც,—რუსი და ქართველი. ქალაქის ირგვლივ კი, გარდა ორიოდე სომხის სოფლებისა, თათრის სოფლებია მოფენილი.

18 ნოემბრიდამ ამ პაწია ქალაქს რაღაც მღელვარება დაეტყო. ესრედ წოდებულ „ბრენილოვკაზე“, რომელიც ქალაქის უმთავრესი ქუჩაა, იკრიბებოდნენ იქაური „ჩინოვნიკობა“, თათრები, სომხები და აქა-იქ, ჯგუფ-ჯგუფად რაღაცაზე საიდუმლოდ თათბირობდნენ. ზოგი ამტკიცებდა, რომ „მართალია“, ზოგი კი არღვევდა მათს „სიმართლეს“.

ეს სიმართლე და „სიტყუნე“ შეეხებოდა განჯის უბედურ ამბებს. „ამოწყვიტეს თათრები“, გაიძახოდნენ ერთნი, „სომხები და არა თათრები“, უპასუხებდნენ მეორენი.

მაგრამ ამ მოქალაქეთ იმდენად განჯის დარდი არა ჰქონდათ, რამდენადაც თვით ყაზახისა. ისინი აქაც უკვე ამჩნევდნენ ცეცხლს, გრძნობდნენ სისხლის სუნს. აქაც ერთმანეთის ფარულად ემზადებოდნენ საომრად, როგორც თათრები, ისე სომხები.

მე, ბრძანებისამებრ ჩემის მთავრობისა, ცხრამეტ ნოემბერს, ღამე მივატოვე კაზაკი და „ექსტრენი პორუჩენიით“ გავეშურე განჯისკენ. ნაბრძანები მქონდა, რადაც უნდა დამჯდომოდა, შევსულიყავ განჯაში და იქიდან ორმოცი სალდათი წამომეყვანა კაზაკის გარნიზონის გასაძლიერებლად—„ყოველ შემთხვევისთვის“. თვით კაზაკის გარნიზონი კი შესდგებოდა სულ სამოცი კაცისაგან, რომელნიც უნდებოდნენ მხოლოდ ციხისა, ხაზინისა და თვით კაზარმის დაცვას.

ღამის თორმეტ საათზე ეტლით მიველ სადგურ აქსტაფაში. აქ მითხრეს, რომ რკინის გზის რომელღაც საყარაულოდან მოიყვანეს სომხის ორი დიჭრილი ბალღი. დედა თათრებს ეკუწნათ, მამა შემთხვევით გადარჩენილიყო. ღამის ორ საათზე მოვიდა ტფილისიდან მატარებელი და მე დილის ექვს საათზე უკვე განჯის სადგურზე ვიყავი.

პლატფორმა, მესამე და პირველი კლასის დარბაზები სავსე იყო ხალხით. მათ შორის თათარს იშვიათად ნახავდით. რიცხვით სამას კაცამდე სომხობა იყო, დანარჩენი მოხელენი—რუსი და ქართველი. მათ ვერ შეებედნათ განჯაში. ისხდნენ თავ-ჩაქინდრულები, ღელავდნენ ქვითინებდნენ. ზოგს მათგანს ნათესავი დარჩომოდა განჯაში, ზოგს ცოლშვილი, არ იცოდნენ მათი ბედ-იღბალი. ქალაქში შესვლა კი შეუძლებელი იყო, რადგან იქ თათრებსა და სომხებს ნამდვილი ომი გაემართნათ.

აქვე ვნახეთ ტფილისიდან გამოგზავნილი „შემარიგებელი დეპუტაცია“. იმათ სადგურიდანვე დაუწყეს მომზადება „შესარიგებელ ნიადაგს“: ბჭობდნენ, თათბირობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათთვისაც ეჭვ გარეშე იყო, რომ ამბორი და კოცნა ვერ შეარიგებდა მოწინააღმდეგეთ. სიმძულვარეს უფრო ღრმად ჰქონია გადგმული ფესვი და კოცნა სისხლის ტალღებზე ბურბუშელასავით გადაივლიდა. ამას ამტკიცებდა ბაქო, შუშა, ერევანი.

გამოუსვლელს მდგომარეობაში ჩავარდა „შემარიგებელი დეპუტაცია“, „კოცნა“ ამაო გამოდგა. მათი მჭერმეტყველებაც „ძმობა-ერთობაზე“ ვერ ეკარებოდა ორივე მხრიდან ამოღებულ ხმალს.

დეპუტაციაში ერია აგრეთვე ტფილისის ს.-დ. პ. უმცირესობის წარმომადგენელი.

გავიცან მათი განჯის პარტიის უმრავლესობის წარმომადგენელიც. მათ ერთად სურდათ განჯაში შესვლა, მაგრამ, როგორც დარწმუნდნენ, ძალიან სახიფათო იყო.

ჩემის პაგონების ძალით, მე მაინც გავბედე ქალაქისკენ გამგზავრება. სადგურის ახლო დუქნები მიკეტილი იყო. გავიარე ვერს ნახევარი. მივადექ კონკის შენობას. აქ პირველად ვნახე თავხედი ძარცვა. ქუჩაში რამდენიმე თათრის ურემი იდგა. წაღლოთ ყველაფერი, გაერეკნათ ცხენები, დარჩომოდათ მხოლოდ ჭერი, იატაკი, ფანჯრები, კედლები. იმასაც ისე დამშვიდებით აწყობდნენ ურმებზე, როგორც თავის საკუთრებას. გეგონებოდათ, მდგმურს, ან სიძვირის, ან სინესტის გამო არ მოსწონს სახლი და ებარგებაო.

თათრები გართულნი იყვნენ ურმების დატვირთვით, ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევიათ. განვაგრძე გზა. შორიდან თოფების ბათქი-ბუთქი მესმოდა. მალე დავინახე ქუჩაში გამწკრივებული თათრები, თოფებით ხელში. აგერ, მივუახლოვდი კიდეც. ისინი ჩემს ეტლს მოაჩერდნენ. მეეტლე განგებ თათარი ავიყვანე. გავურიგდი ხუთ მანათად (ჩვეულებრივ ღირს ათი შაური).

„რუსის ოფიცერია“, დაუყვირა შორიდან მეეტლემ. თათრებს ალბად გაუკვირდათ იმ დროს გარეშე კაცის იმ ადგილას შეხვედრა. რამდენიმე ლულა ჩემკენ იყო მოშვერილი, რა მდგომარეობაშიც ვიქნებოდი, მკითხველმა თვითონ წარმოიდგინოს.

მე მინდოდა ეტლი უკანვე დამებრუნებინა, მაგრამ მოვიაზრე, რომ ეს უფრო ცუდი იქნებოდა, თათრებს შეშინებული მტერი ვეგონებოდი და კარგს არ დამაყრიდნენ. გავიმაგრე გული, მივიღე, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, დამშვიდებული სახე და, ვითომც „არაფერიო“, გავწიეთ წინ. იმ ქუჩიდან, სადაც მე გავიარე, ისროდნენ თათრები, ქალაქის მეორე მხრიდან პასუხს აძლევდნენ სომხები. ტყვიის ზუზუნზე ინსტიკტიურად ხან აქეთ ვიხრებოდი, ხან იქით. რადგან ქუჩის თავის ყარაულებმა გამიშვეს, არც დანარჩენებმა მახლეს ხელი.

მივუახლოვდი ქალაქის მოედანს. აქ კი თმა ყალყზე დამიდგა: ჩემ წინ რამდენიმე აკუწული გვამი ეგდო.

აგერ ერთს, სრულებით ახალგაზდა სომეხს, ტყვიით განგმირულს, დაჭყეტილის, შუშისფერ თვალებით, გაუშლია ხელები და იყურება ცისაკენ, თითქოს მას შეღაღადებდა თავის უბედურებას.

მეორე ტანშემოძარცვული გდია პირქვე, მესამეს, კურტნიან თათარს, თხრილში ჩაუყვია თავი. ვეღარ შევძელ და გვამებს თვალი ავარიდე. ჰაერში დამპალი ლეშის სუნი იდგა.

მივაღწიე ყაზარმას. აქ არტილერიის ცხენები დაესადგურებინათ. ყაზარმის წინ, მოედანზე ეყარა არყის შუშები; ეტყობოდა, რომ სალდათებს ხელი მოეთბოთ.

აქედამ ქალაქის უმთავრეს ქუჩაში გავედი ფეხით. ეს ქუჩა ვეღარ ვიცან. აღარ იყო აღარც მაღაზიები, არც საცხოვრებელი სახლები. აქა-იქ ყარაული—სალდათები იდგნენ. თათრები თავისუფლად ეზიდებოდნენ ნაძარცვს. მათ ხმას არც პოლიცია სცემდა, არც ჯარი. თვით ჩვენი ბატალიონის პოლკოვნიკის ცხვირ წინ ხდებოდა კაცისკვლა, ყაჩაღობა,—ის ხმას არ იღებდა.

ვერ მივაღწიე ჩემს მიზანს: სალდათების მოცემაზე პოლკოვნიკმა უარი მითხრა: აქაც არა გვყოფნის ქალაქის დასაფარავადაო. რაში გამოიხატა ეს დაფარვა, არ ვიცი. მთელს ქალაქში იდგა ერთი პოლკი, ერთი ბატალიონი, კაზაკები, და არტილერია, რიცხვით ათას ხუთასი კაცი.

პოლკის კამანდირმა მიბრძანა, ჩქარა ისევ ყაზახში დავბრუნებულიყავ. ბრძანება ადვილი იყო, შესრულება კი ხელახალ განსაცდელში მაგდებდა მით უმეტეს, რომ ჩემთან ერთად მოდიოდა ორი სომეხი, რომელნიც გადაერჩინათ ბატალიონის კანცელარიაში.

ვისარგებლეთ შემთხვევით: პოლიცმეისტერ თემურბეგს რკინის გზის სადგურზე მიჰყავდა კაზაკების მცველი რაზმი, დეპუტაციის წამოსაყვანად საფარქვეშ. ჩავსხედით ეტლში მასთან ერთად. წინ და უკან კაზაკები მიგვიძღოდნენ. გავიარეთ გვამეზე, თოფების შუა. გზაზე თანამგზავრ სომეხსა და თათარ პოლიცმეისტერს შორის მუსაიფი გაიმართა. არ ვიცი, ვინ იყო ეს სომეხი. სომეხი სთხოვდა პოლიცმეისტერს გადაერჩინა არაფელოვის შენობა, სადაც სასტუმრო „ცენტრალნიე ნომერა“ იყო, და არაფელოვის სახელით ათასი მანეთი აღუთქვა. პოლიცმეისტერი დაჰპირდა შენობის გადარჩენას. მისცეს ხელი ხელს,—მე მოწმად დამისწრეს, ხელი გადამაჭრევინეს!

მაგრამ თვით ბატონმა არაფელოვმა უნდა იცოდეს, რომ თუ მისი შენობა გადარჩა, მხოლოდ იმისთვის, რომ ის ასლანდუზის ბატალიონის კანცელარიის ახლო იყო და ცეცხლის მოკიდება ვერ გაბედეს. თათრებს ეშინოდათ სახელმწიფო შენობაც არ გადამწვარიყო.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტი ჩვენის მმართველებისა. განჯაში, მათ თვალ წინ, თვისი ხმლით დათარეშობდა განთქმული ყაჩაღი დალიალი. ამ ყაჩაღის დასაჭერად ბევრჯელ შეურაზმავთ რამდენიმე ასეული კაზაკი და ჩაფარი. ახლა კი ის შუა ქალაქში, მათ ცხვირ წინ ისროდა თოფს და თათრებს წინ უძღოდა. მას ხმას არავინა სცემდა!!

ი. ევდოშვილი.

რეაქციის ავლა დიდება

მტრის ცნობა ნახევარი გამარჯვებაა და ამიტომ დიდად სანუგეშო უნდა იყოს განმეორება იმ იდეებისა, რომელიც ასულდგმულებდა თვითმპყრობელობას. თვითმპყრობელობა ჯერ ისევ არსებობს რუსეთის იმპერიაში; არსებობს, რადგან ჯერ კიდევ იბრძვის ის პარტია, რომელსაც, პლევესი არ იყოს, „გულწრფელადა“ სწამს, რომ ხალხი ყოვლად ბედნიერია, ყოვლად კმაყოფილი და, თუ ხანდახან უკმაყოფილებას აცხადებს,—რიცხვით მცირე მეამბოხეთა ზედგავლენით ბრიყვდება, და არა იმიტომ, რომ მართლა გრძნობდეს უკეთეს ცხოვრების საჭიროებას.

ამ აზრისა არის დღევანდელი რეაქცია; ამავე აზრისა იყო შინაგან საქმეთა მინისტრი პლევე, რომელიც საუკეთესო განხორციელებას წარმოადგენდა, რუსეთის უფსკრულში ჩამგდებ, ბიუროკრატიისას.

ცნობილი პუბლიცისტი ალ. იულარი სწერს ჟურნალ „რევიუ“-ში:—პლევე რომ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს, აღთქმა დაუდო ხელმწიფეს,—ორის წლის განმავლობაში რევოლუციას ძირიანად აღმოვფხვრიო... სწორედ ორის წლის შემდეგ თითონ ის აღმოფხვრა რევოლუციამ... პლევეს მოკვლამდე, სწორედ ხუთი კვირის წინად, ვნახე იგი და ვებაასე,—ამბობს იულარი,—და მაშინაც იგივე გამიმეორა,—ხალხი სრულიად კმაყოფილია, მყუდროების დამრღვევნი მუჭაში მყავს და, როცა მინდა, გავსრესავო.

— რუსეთში მართო უცხონი არიან მართებლობის წინააღმდეგნი,—ბრძანა პლევემ,—პოლონელნი, ფინლანდელნი, სომხები და მეტადრე ურიები. თითონ რუსი-ხალხი კი ძალიან კმაყოფილია, რადგან რუსეთი და თვითმპყრობელობა ერთი და იგივეა და, მაშასადამე, რუსები რომ ურიებს ელეტენ, მით პატრიოტიზმს და ქვეშევრდომულ ერთგულებას გვიმტკიცებენ.

— რამდენია წმინდა რუსი,—სოციალისტი და რევოლუციონერი,—რომ სასიკვდილოდ ებრძვის თვითმპყრობელობას?

— არიან, მართალია! მაგრამ ყურადღებასაც არ ვაქცევთ, რადგან ხალხში არავითარი გავლენა არა აქვთ. ხალხი მასხარად იგდებს უბედურებს! ხალხმა კარგად იცის, რომ მეამბოხენი ატყუებენ, აბრიყვებენ, სამარეს უთხრიან! გარდა მაგისა, ხალხს იმათი არა გაეგება რა, რადგან დასავლეთ ევროპის მზა-მზარეულ აზრებით არიან გაღენთილნი, ხალხს მთლად დაჰშორებიან და იმისი აღარა იციან-რა.

— მაშ როგორ მოხდა, რომ ობობის ქსელივით მოედო მთელს რუსეთს მათი ქადაგება?

— ნუ თუ თქვენც გჯერათ?! ცარიელი სიტყვაა, ჩემო ბატონო, ეგ ქსელი, ცარიელი სიტყვა! ხალხში ათასში ერთს ვერავის ნახავთ, რომ მეამბოხეთა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ურიების გავლენას დამორჩილებოდეს. ურიების გარდა, მთელს იმპერიაში ორმოც ათას კაცს ვერ იპოვნით, რომელთაც ჭეშმარიტად სწამთ კონსტიტუციის საჭიროება. თუ გნებავთ, ერთი ორასი ათასი კაციც მიუმატეთ, მათ მიერ გაბრიყვებულნი .. ამისას ბრძანებთ, ქსელივით მოედო იმპერიასო?

— მაგ „გაბრიყვებულთა“ რიცხვმა, რომ დღითი-დღე იმატოს?

— შეუძლებელია! გაბრიყვდება ის უტვინო, რომელსაც დედამიწასთან არავითარი კავშირი აღარა აქვს, ესე იგი ინტელიგენტი და ცოტაოდენი ქარხნის-მუშა. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენში არ არის თქვენებური პროლეტარი. ჩვენი მუშა დროებით მოშორებია მამულს, დროებით მოსწყდომია მიწას, და ერთად ერთი ნატვრა და აქვს,—რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს თავის სოფელს და ყანას. თქვენი ნაწერები წამიკითხავს; თურმე მომხრე ყოფილხართ ვიტტესი; მე კი რომ მკითხოთ, სწორედ ვიტტემ წაახდინა საქმე: ხელი შეუწყო მრეწველობას, მიწას მოაშორა გლეხი, ქალაქს ჩაიყვანა და ქარხანაში გარყვნა და წაბილწა! იმას რომ ქვეყნის სიკეთე სდომოდა, მიწას ჯაჭვით მიაკრავდა გლეხს! გლეხიც კმაყოფილი იქნებოდა, ქვეყანაც დამშვიდებული, და აღარც სოციალისტები გაგვიჩნდებოდნენ! მაგრამ სოციალისტებმა თითონაც არ იციან, რა ნებავთ, და გზადაბნეულ ცხვარივით მისდევენ თავიანთ წინამძღვართ. ქარხანა რომ არა ყოფილიყო, ჩვენს მოხელეებს გაჰყვებოდნენ და არა სოციალისტებს.

— მე კი დარწმუნებული გახლდით, რომ სწორედ გლეხკაცობაში აქვს გასავალი სოციალიზმის და ერთობ რევოლუციის მიმართულებას.

— გლეხ-კაცობაში!—შეჰყვირა მუქარით მინისტრმა. სამარცხვინო ცილისწამებას ავრცელებენ სამზღვარგარედ! თქვენ ხომ იცით რუსეთი, ხომ იცნობთ „მუჟიკს“, ხომ გესმით ჩვენი ენა? ხომ ყოფილხართ ჩვენს სოფელში? როგორ მიგიღოთ გლეხმა? უნდობლად, როგორადაც დაუპატიჟებელი სტუმარი, როგორადაც „ბატონი“. ან რა ნდობა უნდა ჰქონდეს თქვენი სერთუკისა და გახამებულ პერანგისა? იცით, მე რომ ერთი სიტყვა ვთქვა, ერთად-ერთი სიტყვა, ორი კვირის შემდეგ სოფელში,—მე მთელს რუსეთს მოგახსენებთ,—ერთს სერთუკიანსაც ვეღარ იპოვნით! თითონ გლეხებიევე დახოცავენ! თავიანთ ძმებს, მეგობრებს დახოცავენ, თუ მცირეოდენი იჭვი აიღეს, რომ ინტელიგენტებისკენ მიიწევენ! ინტელიგენტი მტრად მიაჩნია ხალხს, თავის მოსისხლე მტრად და, უნდა მოგახსენოთ, არცა სცდება, რადგან გლეხ-კაცის მყუდრო ცხოვრებას ინტელიგენტი არღვევს, ურევს აზრებს და საქმეს. გლეხ-კაცის სურვილი ის არის, რომ თავი დაანებონ.

— ძალიან კი ღელავს ხალხი და!.. იქნება იმიტომ, რომ ინტელიგენტებზე მეტად მთავრობა ურევს აზრებსა და საქმეს?

— გლეხ-ხალხის მღელვარება მთავრობის საწინააღმდეგო არ გახლავთ. მთავრობა სულ იმის ცდაშია, რომ გლეხი დაიფაროს ყოველისავე მავნე ელემენტისაგან და, რადგან ერთად-ერთი შემაწუხებელი ხალხისა რევოლუციონერი გახლავთ, მთავრობაც ცდილობს, არ მიუშვას გლეხამდე მისი მტერი,—ის აგიტატორები და ქვეყნის დამღუპველნი, რომელნიც საწყალ ხალხს არწმუნებენ, — შენი დაბეჩავების მიზეზი მართებლობა არისო. ხალხის მღელვარებას პოლიტიკასთან საერთო არა აქვს რა! ერთად-ერთი მისი საფუძველი ქონებრივი გახლავთ და არა პოლიტიკური. რა იცის ხალხმა, რა არის იმპერია, სახელმწიფო წეს-წყობილება? მაშასადამე, ვერც მთავრობას დაემდურება. გვალვა დადგება,—მოსავალი არ მოვა, დაიმშევა ხალხი... მთავრობასთან რა საქმე აქვს, ან მოხელესთან? ბევრი, ბევრი—უახლოესი მემამულე დაარბიოს. ხალხი ხშირად არბევს მდიდარ მემამულეებს, იკლებს, იტაცებს, რასაც მოახელებს; მაგრამ რა არის აქ პოლიტიკური, ან რევოლუციური? თვით სიტყვა რევოლუცია უცნობია ხალხისთვის და გაუგებარი. ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ: როდესაც ხალხი არბევს ვინმე მემამულეს, დარწმუნებულია ხელმწიფის სურვილისამებრ იქცევიო.

— ჩვენში კი დარწმუნებულნი არიან, რომ დღეს-ხვალ ხალხი ყოველი თავის გაჭირვების მიზეზად მართო მთავრობას იცნობს.

— ეგ იმიტომ, რომ ჩვენი მუჟიკის ტვინს არ იცნობენ. ჩვენს გლეხს ევროპიელს ადარებენ და ისე სჯიან.

— აქაც ადამიანები გახლავან, ბატონო, და ადამიანურად ფიქრობენ. დაბრუნდება ქალაქიდან ქარხნის მუშა, თვალს აუხელს ხალხს, აგრძნობინებს იმ დამოკიდებულებას, რომელიც ქონებრივ და გონებრივ სიღატაკესა და პოლიტიკას შორის არსებობს.

— ვერაფერსაც ვერ აგრძნობინებს! იცით, რა თვალით უყურებს ქარხნის მუშას გლეხი? ყურადღებასაც არ აქცევს იმის ნათქვამს, რადგან იცის, რომ სიცრუითა და ტრაბახით გაბერილი გუდაა. არც ესმის იმისი ნათქვამი, რომელიც უცხო, გაუგებარი სიტყვებით არის აჭრელებული. ქარხნიდან რომ შინ დაბრუნდება მუშა, უვარგისი, ნაპანღურევი დაბრუნდება და იმისას ვინ რას დაიჯერებს? აბუჩად ჰყავთ აგდებული და, თუ არა სცემენ,—იმიტომ, რომ ებრალებათ უიმისოდაც უბედური, თორემ ხმასაც არ ამოაღებინებდნენ.

— მაშ გლეხს წინანდებურად ღმერთივითა სწამს ხელმწიფე?

— გლეხსა სწამს ღმერთი და, მაშასადამე, სწამს ხელმწიფეც. პოლიტიკა და სარწმუნოება ხალხისთვის ერთი და იგივეა. ჩვენს ხალხს ფანატიკურად უყვარს ღმერთი და ფანატიკურადვე უყვარს ხელმწიფე.

— ძალიან კარგი, მაგრამ ხელმწიფე და მთავრობა განა ერთი და იგივეა? განა არ შეიძლება, ხელმწიფეს აღმერთებდეს და მთავრობა კი სძულდეს?

— ხალხისაგან—არა! ხალხი თაყვანსა სცემს ხელმწიფეს და აზრადაც არ მოუვა მის მიერ დაწესებულ მართებლობის დამხობა.

— ეგ შეუძლებელი გახლავთ: ხალხს იმისთანა მძიმე ტვირთად აწევს მართებლობა, რომ არ შეიძლება, არა დრტვინავდეს.

— რად უნდა დრტვინავდეს, ბატონო, როდესაც მართებლობა სრულიადაც არ ერევა მის საქმეებში? ხალხი სრულიად თავისუფალია თავის სოფელში, თავის „ობშჩინა“-ში; მან თავის სოფლის იქით არა იცის რა, ქვეყნიერებად თავისი სოფელი მიაჩნია და არც კი დამიჯერებთ, რომ უთხრათ,—რუსეთის იმპერია არსებობს, მართებლობა, მინისტრები, დიპლომატია და სხვანი და სხვანიო. დამეთანხმეთ, ეს ხალხი რევოლუციაზე არ უნდა ფიქრობდეს.

— მის დაუხმარებლივ რომ მოხდეს? თქვენც ხომ ვერ გამოიყენებთ ამ ხალხს?

— მერე ვინ უნდა მოახდინოს? ინტილიგენტებმა, მუშა-სოციალისტებმა და ურიებმა?! ერთი კალმის მოსმა და მისი განადგურება ერთი იქნება! მერწმუნეთ, ერთი დავუწრუწუნო, თორემ თითონ ხალხი მიესევა და... ხალხს თავისი შეხედულება აქვს ამ საგანზე, უკვე შესისხლხორცებული და მტრად უცქერის ყველას, ვინც მის რწმენას არ ეთანხმება.

— ჩვენ კი გვეგონა, ხალხი რევოლუციის მომხრეა და შესაფერ დროს ელისო.

— სულაც არა! ხალხი ბურჯია მართებლობისა, მისი უძლეველი ძალაა. რას თხოულობს ხალხი? თავი დამანებეთ, მე შრომაში ვარ გართული და კაცი მომაჩემეთ, რომ საქვეყნო საქმე იმან განაგოსო. თავისთვის ხალხს მიწა უნდა, რომ მოხნას—მოთესოს; ქვეყნისთვის—ხელმწიფე, რომ საზოგადო საქმეებზე იზრუნოს, და სალოცავად—ღმერთი. მიწა, ხელმწიფე და ღმერთი—აი, იმისი სამება და ვაი იმისი ბრალი, ვინც ამ სამებას შეეხება!

— რომ იფეთქოს რევოლუციამ?

— ყოვლად შეუძლებელია, ბატონო! რევოლუციას უმრავლესობა ახდენს და უმრავლესობა კი ჩვენკენ არის.

* * *

ასე მსჯელობდა პლევე რევოლუციაზე. მაგრამ ისტორიამ არ გაამართლა იგი,—რევოლუციამ წალეკა, როგორც თვით პლევე, ისე მისი პოლიციური რეჟიმი. შორს აღარ არის ის დრო, როცა რევოლუცია დაასრულებს თავის საქმეს და სავსებით ისტორიას ჩააბარებს თვითმპყრობელობას.

ივ. მ—ანი.

განთავისუფლებულ ამხანაგებს *)

ამხანაგებო!

გრძნობათა გაზიარება ერთმანეთში რუსეთის რევოლუციონერთა ჩვეულება არ არის, მაგრამ არაჩვეულებრივი დრო და ბნელი მომავალი, რომელმაც იქნება ერთმანეთი აღარც კი შეგვახვედროს, გვავალებს გამოვთქვათ იმის ერთი ნაწილი მაინც, რაც სათქმელი გვაქვს.

სოციალ-რევოლუციონერების პარტია „ნაროდნაია ვოლიას“ სულიერი მემკვიდრეა. სოც.-რევოლუციონერთა პარტიის დამაარსებელთა ოცნება და მისწრაფება, ის იყო, რომ ახალ პარტიისთვის შთაებერათ და შთაენერგათ ისეთივე რევოლუციონური სიმტკიცე, ისეთივე მოქალაქობრივი ვაჟკაცობა და უსაზღვრო ერთგულება სახალხო საქმისადმი, რომლითაც თავი ისახელა და დაუვიწყარ დიდებით შეიმკო „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიამ. თქვენ უკანასკნელი მოღიკანები ხართ დატყვევებულ და დამარცხებულ პარტიისა. თქვენ, მცველმა გვარდიამ, სავსებით შეასრულეთ თქვენი უთვალავი ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი ვალი, დღეს თავს ანებებთ შლისელბურგს და თქვენს დროშას ჩვენ გვაბარებთ; ჩვენ, ახალ პარტიის ახალგაზდა სალდათებს. გახსოვდეთ: ჩვენ ვიცით, რომ ეს დროშა ამ ციხეში დაღუპულთა სისხლშია ამოვლებული, ვიცით, რომ ჩვენ წმინდა და უმწიკვლო დროშას გიბარებთ და ასეთივე სუფთა უნდა გადავცეთ ჩვენს მომავალ თაობას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ასეთ ძნელ საქმეს მოვერევით და პატიოსნად შევასრულებთ.

გახსოვდეთ და იცოდეთ რომ სოციალ-რევოლუციონერების პარტია და რევოლუციონური

---

*) ამ სიტყვით მიმართა შლისელბურგის ციხიდან განთავისუფლებულ მოხუც სოც.-რევოლუციონერებს, ციხეში დარჩენილთა სახელით, სოც.-რევოლუციონერთა მებრძოლ რაზმის ცნობილმა მეთაურმა გ. გერშუნიმ.

ასალგაზრდობა ისე გელიან თქვენ, როგორც ძვირფასს და ერთგულ მეგობარს. მათი მხურვალე მოხვევა, მათი თანაგრძნობა და მათი მეგობრული სიყვარული დაადნობს იმ ყინულს, რომელიც ამდენი ხანის საშინელმა მარტოობამ მოაგროვა თქვენს გულში, და სარგებლით დაგიბრუნებთ იმას, ურომლისოდაც ასე გაცივდა და დაიმშა თქვენი სული. ნდობით მიეგებეთ მათს გრძნობას: თქვენ სავსებით დაიმსახურეთ იგი.

გარდა ამისა აი, კიდევ რას გეტყვით: ჩვენი, აქ დარჩენილთა, დარდი ნუ გექნებათ. ძნელია თქვენთან განშორება, ძნელია აქ კუდად და ობლად დარჩენა, მაგრამ სამწუხარო ჩვენი ობლობა და მარტოობა კი არ არის, არამედ ის არის, რომ შლისელბურგის ციხეში, [illegible] ისევ არიან: იმიტომ რჩებიან, რომ საჭირო ყოფილა.

თქვენ კარგი ხსოვნა დასტოვეთ ჩვენ შორის და ძალიან გაგვახარებდა, რომ ჩვენზედაც ასეთი ხსოვნა დაგრჩეთ თქვენ. სალამი ყველას. და ჩემ მიერ მშობლებისადმი გაგზავნილი ქვა შლისელბურგის ციხის სახსოვრად **) უკანასკნელი არ იყოს; და ხალხმა დაანგრიოს ეს ციხე და ყველამ თითო ქვა წაიღოს იმის სახსოვრად, რაც ოდესღაც იყო და რომლის განმეორებას ხალხი აღარავის დაანებებს... (ს. ო.).

გ. გერშუნი.

ახალი ამბავი

დღეს, 9 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, საბჭოს დარბაზში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი **წაიკითხავს ლექციას**— „სოციალ-დემოკრატია და სომეხ თათართა ხოცვა-ჟლეტა“.

◆ რადგანაც ქალაქის კასსა დაცალიერდა, ქალაქის გამგეობამ ფულის გაღება შესწყვიტა. ქალაქის კასსას **შემოსავალი აღარა აქვს რა**, ისე რომ ტფილისი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა.

◆ **ბათუმში კაზაკების მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ** ,,ვოზროჟ.'' სწერენ: 28 ნოემბერს კაზაკებმა დახოცეს 11 ადგილობრივი მცხოვრები. მძიმედ დაჭრილებმა ნიკიფორე გიორგაძემ და ანტონ ქტიამ გვიამბეს შემდეგი: ჩვენ გამოველით ნაცნობის მაღაზიიდან, ტურეცკი ბაზარში, მოულოდნელად გარს შემოგვერტყა 8 კაზაკი და საქონლის სადგურზე წაგვიყვანეს. იქ კაზაკებს გაეკეთებინათ წრე, გარს შემოხვეოდნენ ოთხს დაჭრილს, რომლებიც სულსა ლევდნენ, წრიდან სათითაოდ გამოდიოდნენ კაზაკები და საბრალოებს ხანჯლით ჰკუწავდნენ. თავზარდაცემულებმა დავუწყეთ მუდარა და, რაც კი რომ გვქონდა, ყველაფერი შევთავაზეთ, მაგრამ ჩვენც წრეში შეგვაგდეს და დაგვიწყეს ხინჯლებით ჩხვა. მალე გონება დავკარგეთ და შემდეგ რა მოხდა, აღარ ვიცითო. მრავალ ალაგას დაჭრილი გიორგაძე და ქტია მხოლოდ საავადმყოფოში მოვიდნენ გონს და რამდენიმე საათის შემდეგ დიდის ტანჯვით გარდაიცვალნენ. ისინი დამარხეს შაბათს, 3 დეკემბერს, იმათთან ერთად დამარხეს 30 ნოემბერს მოკლული 6 კაცი. დამარხვას ხალხი არ დასწრებია, რადგან ციხის კომენდანტმა გამოაცხადა, ყოველ კრებას ზარბაზნებით გავფანტავო. 3 დეკემბერს, ღამე 2 მკვლელობა მოხდა. ბევრნი ასახელებენ კაზაკების ერთს ოფიცერს, რომელიც კაზაკებს ხელმძღვანელობდა. ამ ოფიცერმა ბათუმის ქუჩები სისხლით მორწყო და გაიპარა. ქალაქი უკიდურესს მდგომარეობაშია. კაზაკები სჩხრეკენ ყველას, ძარცვავენ, ანადგურებენ ქალაქს. მცხოვრებნი ქალაქიდან გარბიან. კომენდანტმა მოინდომა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მეთაურნი დაეტუსაღებინა და სამხედრო წესების ძალით გაესამართლებინა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან მეთაურები თავის დროზე გაეცალნენ ქალაქიდან.

◆ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში 5 დეკემბერს შემდეგი ბრძანება გამოსცეს: ,,ხელმწიფე იმპერატორმა, რომელიც მუდამ ზრუნავს თავის ჯარებზე, კეთილ ინება და ბრძანა: 1) 6 დეკემბრიდან ჯარის კაცთ მოემატოთ საზრდო, $^1/_2$ გირვანქა ხორცის მაგივრად $^3/_4$ გირვანქა და სანოვაგისათვის $1^3/_4$ კაპ. მაგივრად $2^1/_2$ კაპ. ჩაის სასმელად მიეცეთ 0,48 მისხ. ჩაი და 6 მისხ. შაქარი; 2) მომავალ წლის პირველ იანვრიდან მიემატოთ სალდათებს ჯამაგირი, მიეცეთ დასაკერებელი, ფოლაქები, სარჩულები, წაღების შავად შესაღებავი, ან ფული ყველა ამის შესაძენად, მიეცეთ ჯარში ახლად გაწვეულთა ახალგაზდა კაზაკებს ზეწრები, შემოღებულ იქმნას თითოეულ ჯარის კაცისთვის მომეტებულად ძლევა წლიურ ნივთ ავეჯეულობისა და დაწესდეს მათთვის მიცემა სავარჯიშო ხალათებისა, თითო წყვილ პაგონებისა, აგრეთვე შემოღებულ იქმნას $^1/_2$ გირვ. საპნის მიცემა თითოეულისათვის თვეში; 3) დაწესდეს დღე-ღამის ხარჯის მიცემა იმ ოფიცრებისა და სალდათებისათვის, რომელნიც გამოწვეულ იქმნებიან წესიერების აღსადგენად; ამათ უნდა მიეცეთ: გენერლებს—3 მან., შტაბ-ოფიცრებს—2 მან., ობერ ოფიცრებს—1 მან. 50 კაპ., უნტერ-ოფიცრებს—30 კაპ. და უბრალო ჯარისკაცებს— 15 კაპ., აგრეთვე დამატებითი საკვები ჯარისკაცებს: $^1/_4$ გირვ. ხორცი, 16 მისხალი ბრინჯი და სამყოფი ჩაი.

◆ გაზეთ „სხივის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია, ვითომ რ. სტურუას დასაფლავებაზე **ს.-ფედერალისტები არ დასწრებიანო.** ეს შეცდომაა: ამ პარტიის დეპუტაცია დაესწრო განსვენებას, ერთმა ამხანაგმა სიტყვის ნებაც ითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს („ორატორთა სია უკვე დახურულიაო“); პარტიის წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს თავგანწირულ მუშის კუბო (ცნ. ფ.).

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს **ბათუმიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა:** ,,რადგან ბათუმში საალყო წესები იქმნა შემოღებული, რომლის ძალითაც საღამოს ექვს საათს შემდეგ ქუჩაზე არავის შეუძლია გამოსვლა, ამიტომ რკინის გზის მუშები და მოსამსახურენი ექვსის საათის შემდეგ აღარ მუშაობენ''.

◆ 6 დეკემბერს „პატრიოტებმა“ ტფილისის იუნკრებს მიართვეს ხელმწიფის დიდი სურათი, ზედ წარწერით: **„სახსოვრად 22 ოქტომბრისა“.**

◆ ტფილისის სამაზრო სამმართველოს მოხელეებმა უფროსებს **შემდეგი თხოვნა წარუდგინეს:** 1. უკან დაბრუნებულ იქმნას და მოსამსახურეთა შორის განაწილდეს ის ფული, რომელიც შარშან ბორჩალოს სამაზრო სამმართველოს გაეგზავნა, როგორც ჩვენის სამმართველოსთვის არა საჭირო, 2. მომავალ დღესასწაულში მოხელეთ წინანდელზე მეტი ფული მიეცეთ ჯილდოდ, რადგანაც ამ ჟამად ტფილისში სურსათ-სანოვაგე გაძვირებულია, 3. რადგან წარსულ წლებში შევნიშნეთ, რომ სამეურნეო ფულის განაწილებაში უფროსნი ბოროტად იქცეოდნენ, ამიტომ მოხელეებს ნება მიეცეთ, კონტროლი უყონ, თუ ფული რა მხრით იხარჯება, 4. განთავისუფლებულ იქმნენ მოხელენი კვირაში ერთხელ სადილს შემდეგ მორიგეობისაგან და 5. შუამდგომლობა აღიძრას გუბერნატორის წინაშე, რომ მან გააუქმოს თავის განკარგულება ყარაიაზის ბოქაულად თავ. მაყაშვილის დანიშვნის შესახებ, რადგან იმაზე ღირსეულნი ამ თანამდებობისათვის სხვები არიან.

◆ კვირას, 11 დეკემბერს, დანიშნულია ტფილისის ქალაქის **საბჭოს ხმოსანთა კრება.** სხვათა შორის განხილულ იქმნება განცხადება საბჭოს ხმოსნის ბ-ნ ტიგრანოვისა, რომელიც სწერს: რადგან ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის სასურველად დაგვირგვინებას, ამიტომ ეთხოვ საბჭოს დაადგინოს: 1, გამოეცხადოს მხურვალე თანაგრძნობა და სოლიდარობა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთა კავშირის დადგენილებასა და თავგანწირულს მოქმედებას და 2, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ბიუროს მიეცეს ქალაქის თვითმართველობიდან 1,000 მანეთი, რომელიც უნდა განაწილდეს გაფიცულ მოხელეთა შორის.

◆ გუშინ, 8 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ჰქონდათ **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოხელეთა**, რომლებიც თავიანთ გაფიცვის შესახებ მსჯელობდნენ. კრებას სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელნიც დაესწრნენ. ამ კრების ანგარიშს დაწვრილებით ხვალ დავბეჭდავთ.

◆ სომეხ-თათართა შორის მომხდარ შეტაკების დროს ტფილისის ყველა აბანოები **გაანადგურეს და გაძარცვეს.** გადარჩა მხოლოდ ორბელიანის აბანო, რომელსაც ჯარი იცავდა.

◆ ნამესტნიკმა ნება დართო ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს, გამოსცეს თავის რედაქტორობით **ყოველთვიური ქართული ჟურნალი** ,,ქართული სამკურნალო ფურცელი''. ჟურნალი თვეში ერთხელ ან ორხელ გამოვა და ეღირება წლიურად სამ მანათად.

◆ გუშინ, 8 დეკემბერს, ტფილისში **დაიწყო საქართველოს საეგზარხოსოს სამღვდელოების დეპუტატთა კრება.** განსახილველი საგნებია: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება კრებაზე მონაწილეობას იღებენ ასამდე დეპუტატი სამღვდელოებისა და იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.

◆ 7 დეკემბერს **თათბირი ჰქონდა** სომხეთა და თათართა შორის მშვიდობიანობის ჩამომგდებ კომისიას. კომისიამ მოიწონა სამედიატორო სასამართლოს დადგენილება და იმის შესახებ, რომ დაარსდეს ფონდი ხოცვა-ჟლეტის დროს დაზარალებულთა დასახმარებლად.

◆ 7 დეკემბრისთვის ქალაქის საბჭოში დანიშნული იყო **სახლის პატრონთა კრება.** რადგან კრებაზე ყველა საპოლიციო უბნების წარმომადგენელნი არ გამოცხადდნენ, ამორჩეულ იქმნა საორგანიზაციო ბიურო, რომელიც ხელახლა დანიშნავს კრებას და ყველა უბნების წარმომადგენლებს მოიწვევს თავის დაცვის ორგანიზაციის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ გუშინ-წინ, 7 დეკემბერს, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ **კრება ჰქონდათ.** კრებამ გადასწყვიტა, უკვე შემუშავებული მოთხოვნილებანი ახლავ წარუდგინონ ქალაქის საბჭოს. ამასთანავე კრებამ დეპუტატებად აირჩია სამი კაცი, რომლებმაც სოციალ-დემოკრატულ მუშათა ორგანიზაციასთან უნდა მოილაპარაკონ შეთანხმებულ მოქმედების დაწყების შესახებ.

◆ პეტერბურგიდან **ამიერ-კავკასიის რკინის გზას მოუვიდა შემდეგი ამბავი,** რომელსაც პროვოკაციის სუნი უდის: ცნობები მივიღეთ, რომ ბევრგან მცხოვრებნი დიდად აღშფოთებულნი არიან რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვების გამო. მცხოვრებნი ამბობენ, თუ კიდევ განმეორდა გაფიცვები, ჩვენ თვითონ დავსჯით რკინის გზის მოხელეთ და მოსამსახურეთაო. ბოლოში მთავრობა დასძენს: შეიძლება ისეთებიც კი დაზავდნენ, რომელნიც მონაწილეობას არ იღებენ გაფიცვაში, ამისათვის გატყობინებთ ყველა ამას, რომ აცნობოთ თქვენს მოხელეთაო.

◆ ნამესტნიკის კონვოის კაზაკებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ **მოთხოვნილებანი შეუმუშავებიათ** და წარუდგენიათ ბატალიონის უფროსის პოლკ. დრაგომიროვისათვის. როგორც უფროსი, ისე სხვანი ძალიან შეშფოთებულან ამ მოულოდნელ ამბისაგან და შესდგომიან გამოძიებას. კონვოს უფროსს სათითაოდ დაუბარებია კაზაკები და გამოუკითხავს. კაზაკებს შეშინებიათ და განუცხადებიათ, არა ვიცით რა დაწერილი ქაღალდი მოგვიტანეს და ჩვენც ხელი მოვაწერეთო. ჯერი მიმდგარა ერთს კაზაკზე, გვარად გარინზე, რომელსაც გულახდილად უამბნია დრაგომიროვისათვის კაზაკების გაჭირვებული მდგომარეობა. გარინს უთქვამს, რომ ჩვენი ყოფა აუტანელიაო. ჩვენთვის არც ბინაა ადამიანური, არც საჭმელი, არც სასმელი, კაზარმებში ჩამწყვდეულები ვართო. გარინი დაუპატიმრებიათ. როცა კაზაკები კაზარმაში დაბრუნებულან, თათბირი გაუმართავთ და უთქვამთ, გარინი ჩვენთვის ისჯება, რაც ვითხოვეთ, ყველას თანხმობით ვითხოვეთ და ამიტომ ვალდებულნი ვართ ჩვენი ამხანაგი არ დაისაჯოსო. კაზაკები მომზადებულან კიდეც თავიანთ ამხანაგის გასანთავისუფლებლად. ოფიცრები მისულან და კაზაკებისათვის უთქვამთ, თუ დამშვიდდებით, თქვენ მოთხოვნილებებს ავასრულებთო. ამან კაზაკები ჯერ-ჯერობით დაამშვიდა. სასმელ-საჭმელი უკვე გაუუმჯობესეს. წინად ნებადაურთველად გარედ გასვლის ნება არ ჰქონდათ, ამ ჟამად კი ასეთი უფლება მიენიჭათ.

◆ მოსწავლეთა მიერ ტფილისში ახლად დაარსებულმა პოლიტიკურმა კლუბმა შუამდგომლობა აღძრა რუსულ ენაზე **გაზეთის გამოცემის** შესახებ. გაზეთს სახელად „დრუგ პროლეტარიატა“ (პროლეტარიატის მეგობარი) ერქმევა.

◆ ნამესტნიკის საბჭოსთან **დაარსდა საგანგებო სათათბირო,** რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი სომეხ-თათართა შორის მომავალში შეტაკების თავიდან ასაცილებლად. ამ სათათბიროში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ ტფილისსა, განჯასა, ბაქოსა და ერევანში მცხოვრებ მაჰმადიანთა ოცი წარმომადგენელი.

◆ სამშაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის საბჭოს წინ ერთი უცნობი მთვრალი მოდიოდა დანძღვა-გინებით და თანაც ხელში რევოლვერს ატრიალებდა. ეს შენიშნეს მილიციონერებმა, დაატყვევეს ის, რომელიც ხულიგანი აღმოჩნდა, ჩასვეს ეტლში და მსჯავრის დასადებად თავის დამცველ რაზმთა ბიუროში წაიყვანეს.

◆ „ქართველთა ამხანაგობის“ სტამბის ასოთ-ამწყობებმა და დანარჩენ ყველა განყოფილების მუშა-ხელოსნებმა დააარსეს პროფესიონალური კავშირი, შეიმუშავეს აგრეთვე წესდება და წარუდგინეს სტამბის გამგეს, რომელიც წესდების ცოტა რამ შეცვლით დაეთანხმა თავის დანიშნულების შესრულებას. კავშირი იანვრის პირველიდან შედგება. კავშირში არ შედიან სტამბის კონტორის მოხელენი, რედაქციების თანამშრომლები და გაზეთის დამტარებლები.

◆ გუშინ-წინ, 7 დეკემბერს, ორმოცამდე მუშა სწმენდდა ელექტრონის ტრამვაის ლიანდაგის გზას. უსახელო საზოგადოების დირექცია თითო მუშას საათში სამ-სამ შაურად მოურიგდა. მუშებმა დილიდან საღამომდე იმუშავეს და გასწმინდეს ტრამვაის გზა მიხეილის პროსპექტზე და სალდათის ბაზარზე. ამ მუშებს უნდა ემუშავნათ შეუწყვეტლივ, სანამ ყველგან არ გასწმენდნენ ტრამვაის სასიარულო გზას, მაგრამ საღამოს 6 საათზე, როცა მუშები მიუახლოვდნენ თამამშევის ქარვასლას (ერევნის მოედანზე), მივიდა მათთან ოთხი უცნობი კაცი და აუხსნა რომ დირექცია ძლიერ ცოტა ხელფასს გაძლევთო. მუშებმა მწყობრად დაჰყარეს სამუშაო იარაღი, დირექციისაკენ გაემართნენ და ხელფასად საათში ექვსი შაური მოსთხოვეს. დირექცია არ დაეთანხმა და ლიანდაგი გაუწმენდავი დარჩა.

◆ შაბათს, 3 დეკემბერს, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, ნეიტრალ ეროვნებათა ქალთა კრების გაგრძელება მოხდა. ხანგრძლივ და ცხარე კამათის შემდეგ, კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ტფილისის მოქალაქე ქალნი, რიცხვით 200, შეიკრიბნენ იმ ღონისძიებათა გამოსარკვევლად, რომელიც საჭიროა სომეხთა და თათართა ხოცვა-ჟლეტის მოსასპობად, და დაადგინეს: 1) რადგან მხოლოდ ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთ შეუძლიანთ უზრუნველჰყონ ეროვნებათა თავისუფალი განვითარება და მოქალაქეთა მშვიდობიანი ცხოვრება ათასგვარ პროვოკაციისა და მისს დამღუპველ შედეგისაგან, ამიტომ მთელის რუსეთის მცხოვრებლებს მოვუწოდებთ, რომ რევოლუციონურის გზით შეუდგნენ საყოველთაო, პირდაპირ, დახურულ და კაცთა და ქალთათვის თანასწორ კენჭის ყრით დამფუძნებელ კრების მოწვევას, 2) კრებას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რაც შეიძლება, ჩქარა მოწვეულ იქმნას მთელის კავკასიის ეროვნებათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც უნდა განიხილოს კავკასიაში გამწვავებული ეროვნული საკითხი, დაწვრილებით გამოარკვლიოს ნამდვილი მდგომარეობა და მიიღოს საერთო გარდაწყვეტილება, 3) რადგან დღევანდელი ისტორიული მომენტი ფრიად საგულისხმოა, კრება თხოვნით მიმართავს ბრწყინვალე თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლთ, რომ მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებანი და საზოგადოების შეუგნებელ ელემენტებს განუმარტონ უკეთეს მომავლისთვის სოლიდარულ ბრძოლის დიდი მნიშვნელობა და ნამდვილი მიზეზები კავკასიაში მომხდარ არეულობისა, რომელიც აფერხებს მთელის რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას და 4) ზიზღი და სიძულვილი ყველა პროვოკატორებს, დიდება ყველა ეროვნების ხალხს, რომელიც თავისუფლებისა და სინათლისათვის იბრძვის“. ერთმა ორატორმა კრებაზე აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ნეიტრალ ერების ქალთა კრებამ მოითხოვოს, რომ გამოძიებულ იქმნეს სომეხთა პარტიის „დაშნაკცუტიუნის“ მოქმედება სომეხ-თათართა ხოცვის დროსაო, მაგრამ ეს წინადადება კრებამ არ მიიღო.

◆ ტფილისის სახაზინო თეატრის დირექციამ განკარგულება მოახდინა, რომ თეატრში ჯარის-კაცთათვის შესვლის ფასი ერთი აბაზი იყოს. სამი და ოთხი წარმოდგენების ბილეთები დირექციამ კაზაკებსა და ჯარის-კაცებს უფასოდ გაუგზავნა.

◆ კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე ქ-მა ნატალია იაკობის ასულმა ცეტკამ შუამდგომლობა აღძრა, რომ ნება მიეცეს, ტფილისში რუსულს ენაზე ყოველ-დღიური გაზეთი გამოსცეს. გაზეთს სახელად „ვპერიოდ“ ერქმევა და სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებისა იქნება.

◆ ახალ-სენაკიდან გვწერენ: აქ ყველა დაწესებულება ხალხის ხელშია. ყველაფერს წითელი რაზმი ჰყარაულობს. სოფლებში ყოველი ნაშთი ძველი რეჟიმისა აღმოიფხვრა. სტრაჟნიკების პოსტები აქეთ მო-

---

**) გერშუნიმ შლისელბურგის ციხის კედლიდან დიდი წვალებით ერთი ქვა გამოიღო და მშობლებს გაუგზავნა. იმ ქვაზე ეწერა: „კედლიდან მე ერთი ქვა გამოვიღე, ხოლო მთელი ციხის დანგრევა თქვენი საქმეა“.

ფელეტონი

ხან-და-ხან

სულს ღაფავს.—„პროლეტარებო შეერთდით“.—კიდევ ხულიგანები.—ესეც რევოლუციაა?

დღევანდელ დიდ რევოლუციის ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით აღიბეჭდება 1904 წლ. 26 იანვარი,—ის დიდებული 26 იანვარი, როდესაც ადმირალ ტოგოს მრისხანე ნაღმებმა გვერდები შეუნგრია „ცესარევიჩს“, „პალადას“, „რეტვიზანს“ და ამ თვითმპყრობელობის ბურჯთა შემუსვრით შორეულ-აღმოსავლეთში კარები გაუღო იმ დიდებულ, ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის მოწმენიც ვართ დღეს. იქ, დიდ ოკეანეში გრგვინვით აღიმართა ის მრისხანე ტალღა, რომელიც შეუპოვრად წინააღუდგა ჩრდილოეთის ბუმბერაზს, შემუსრა მისი სიმტკიცე—პორტ-არტური, გამოაშკარავა და ქვეყანას დაანახვა ამ ბუმბერაზის მოჩვენებითი ძალა, რომლის წინაშე თრთოდა მთელი ევროპა, და ბოლოს, ცუსიმასთან, საუკუნოდ შთანთქა მისი ძლიერება.

დიახ, იქ, დიდ-ოკეანეში შიმოზეს ყუმბარებთან და ოდის ნაღმებთან ერთად დაიგრგვინა იმ ტალღამ, რომელმაც გადმოლახა რუსეთის თვალუწვდენელი სივრცე, მოედო მის ყოველ კუთხე-კუნჭულს, ცივი წყალი გადაასხა ღრმად ჩაძინებულს, იაროსლაველ გლეხს, მუჯლუგუნი წაჰკრა თავ-ჩაქინდრულს და მუნჯად ქცეულ მეტყველ არსებას, მხარი დაუჭირა ყველა მებრძოლ ჯგუფს და რუსეთის პირ-მოკუმულ ცაზე დასწერა დიდებული სიტყვები: „თავისუფალი ადამიანი და თავისუფალი ერი!“

აღმოსავლეთით მოგვეხედა ისტორიამ და შემოგვანათა ცხრა-თვალა მზემ. შედრკა ბნელეთი და ასპარეზზე გამოვიდა ნათელი; დაიგრიალა სიმართლემ, რომელსაც გამოეხმაურა დაჩაგრულთა დიდი უმრავლესობა; ხმა ამოიღო და მედგრად თავისი მოითხოვა ოთხად მოკეცილმა მუშამ; ადამიანმა მოითხოვა თავის დაცემულ და გათელილ უფლებათა აღდგენა, მოითხოვა თავისი ისტორიული და აწინდელი უფლებები პოლონელმა, ფინლანდელმა, უკრაინელმა, ბელორუსმა, ებრაელმა, ქართველმა და კიდით-კიდემდე გაისმა შეერთებული გრგვინვა ამხანაგებისა: „ძირს მტარვალი! გაუმარჯოს ადამიანის და ერის თავისუფლებას“! აღსდგა ხმელეთი, აღსდგა ზღვა, აღიმართა ტალღა ტალღაზე, ზვირთი ზვირთზე, რომელიც მუსრავს სალ კლდის შავ-ბნელ ნაპრალებს და მიექანება წინ, წინ საბოლოო გამარჯვებისაკენ!.. ინგრევა ჩინური კედელი, აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა აღმართული; იჩეხება და იკაფება უღრანი ტყე, ათასგვარ ონავართა ბუნაგი; ტორტმანობს მსოფლიოს მეექვსედი, სულს ღაფავს თვითმპყრობელობა, რომელსაც ხელთ ეპყრა უფლება „გახსნისა და შეკვრისა“!.. ცოდვა ეკითხა ბელზებელს, ჰკუთავს, წვალობს, თრთის, კანკალებს სასტიკ სამსჯავროს წინაშე! ერთი უკანასკნელი ამოქშენა კიდევ და—ის საუკუნოდ აღმოუტევებს თავის, სისხლით შეთხუპნილ სულს, იუდას საკერძოდ და ჯოჯოხეთის საკმევლად!..

* * *

მარა, როგორც ვიცით, „სიკვდილი ცოდვილთა ბოროტ არს“ და ჩვენი ბელზებელიც ბოროტად კვდება. წინ მიუძღვის უმანკო მსხვერპლთა სისხლის ღვართ-ქაფი, რომლის ოშხივარი ცამდე ადის და არე-მარეს ბურავს. ფერი უკრთება იროდის, ნერონს, ცნობილ ინკვიზატორ ტორკვემადოს, რომელმაც 99,000 სული ადამიანი იმსხვერპლა; შაჰაბაზი, თემურ-ლენგი, მურვან-ყრუ, ჩინგის ყაენი და სხვა აზიელი დესპოტები მოწიწებით პირველობას უთმობენ დღევანდელ მტარვალს!.. ნება-დართული ავაზაკობა, უდანაშაულო და უიარაღო ხალხის ხოცვა-ჟლეტა, ერის ერზე წასისინება—აი, რა შავ-ბნელი სურათები გამოიხატა, მეოცე საუკუნეში, რუსეთის ბიუროკრატიულ ცაზე! თვალწინ გვიდგას 9 იანვარი პეტერბურგში, ეს საშინელი აქტი მტარვალობისა, 29 აგვისტო ტფილისში, 22 ოქტომბერი აქვე, 14 თებერვალი ქუთაისში, გურიის გადაწვა-გადაბუგვა, ქართლის სოფლების აწიოკება, ტომსკში თაგვებივით ცეცხლში დამწვარი 600 სული ადამიანი და მასთან ერთად მთელი რუსეთის შემაძრწუნებელი ტრაგედია!.. გული გიკვდება და, ბოღმა-მოწოლილი, გაიძახი: ,,სად არის ადამიანობა? სად არის განათლებული კაცობრიობა, რომ ხმას არ იღებს? რად სდუმს ევროპა, როცა მის გვერდით ამოდენა უდანაშაულოთა სისხლი იღვრება? რას შვრება ევროპის პროლეტარიატი? ,,პროლეტარებო შეერთდითო'',—ეს ხომ მათი დევიზია!..

* * *

პროლეტარები თავის-თავად შეერთდებიან, ამაში ეჭვი არაა. მდგომარეობა და შეგნება ყველა დაჩაგრულებს შეათანხმებს, რომ საერთო იერიშით პირქვე დაამხონ ძალმომრეობის და მტარვალების ბუდე-სავანე. ჩვენ ეს გვწამს და საფუძველიცა გვაქვს, ასე ვირწმუნოთ; მხოლოდ არ ვიცით, რა საფუძველი აქვთ იმათ, ვინც თავგზა დაკარგულ თვითმპყრობელობის შემაგრებას ცდილობენ? რის იმედი აქვთ ამ ვაჟბატონებს? იქნებ, ფიქრობენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას? მაშ, რის მოხელე არიან ტრეპოვები, ბულიგინები, დურნოვოები, იგნატიევები და, მათ სათავეში დასკუპული, ორპირი პოლიტიკოსი ვიტტე, რომელიც ცალ-უბით ხალხს უღიმის, ხოლო ორივე ხელებით თვითმპყრობელობის გამაგრებას ცდილობს?!. ნეტა, ვისზე, ან რაზედაა დამყარებული ამ ვაჟბატონების ისტორიული მოღვაწეობა?

ეჭვი არ არის, რომ მათაც ჰყავთ მხარის დამჭერნი, რომელთა იმედით ისინი ლოლოს გატანას ფიქრობენ—ამ საიმედო საფუძველს მათთვის წარმოადგენენ ცნობილი ხულიგანები,—ეს საზოგადოების ნაძირალნი,—მეეზოვენი, ჟანდარმები ჩინოვნიკები და მღვდლები, კაზაკები და ძმანი მათნი. ესენი ხომ ლუკმა პურისთვის უღრენენ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხმარობენ ყოველგვარ, ადამიანის შეურაცხმყოფელ, საშუალებას... ესენი არიან, მეფის სურათს რომ აფრიალებენ ჰაერში, ნაციონალურ ჰიმნს ღრიალებენ ქუჩებში და, ვისაც შეხვდებიან, ყველას მუშტითა და კეტის ცემით უმასპინძლდებიან; ესენი არიან, რომელთაც ამ დღეებში თავიანთი პოლიტიკური პროგრამა გამოაქვეყნეს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ აქედან რამდენსამე მუხლს.

1) ერთ არს ტახტი და ერთი წმინდა სამოციქულო ეკლესია;

2) მათ წინაშე თრთოდენ ყოველნი ტომნი ქვეყნისანი;

3) არავითარი ავტონომიები, არავითარი შეღავათი არავის, რადგანაც ერთ-არს და განუყოფელ წმინდა მართლმადიდებელი რუსეთი და სხ.

დიახ, ვიტტეს და მის დამქაშებს ჰყავთ პარტია, რომელზედაც დამყარებულია მთელი მათი იმედი და ძლიერება. მაშ, ასე, გამოდის ასეთი სურათი: დაბლა დგას მეეზოვე, მასზე კაზაკი, ზედ პოლიციელი, პოლიციელზე მინისტრი, (რომელიმე ობერ-ხულიგანი), მინისტრზე—პრემიერ c გრ. ვიტტე და... მთელი რუსეთის მოსაქმედ, მის ბედის გამგედ შეიქმნა გრ. ვიტტე; მხოლოდ ხალხისთვის სულ ერთია, ვიტტე ჩაჰკლავს მის ინტერესებს, დურნოვო, თუ სხვა ვინმე. „რომელმა ძაღლმაც მიკბინოს, ყველა ერთნაირად გამამწვავებსო“,—ამბობს ანდაზა. ან კიდევ: „ცხვარმა სთქვა: ჩემ შვილს მგელი შესჭამს, თუ მგლის ფერი ძაღლი, სულერთია,—ვიცით, არც ერთი დაზოგავს და არც მეორეო“.

მაგრამ იგივე ანდაზა ამბობს: „ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა—ცხარეაო“, და, აი, ამ გაცხარებულთა იერიშს ვეღარ უძლებს ვერც ერთი ბურჯი თვითმპყრობელობისა, ვერც ერთი ტირანი, ვერც ერთი დესპოტი! თავდაყირა ემხობიან პობედონოსცევები, ტრეპოვები; ამბობენ, ამ დღეებში ვიტტეც დაემხობაო. „Дружно, товарищи“.—გრიალებს რუსეთი, „გაუმარჯოს ერთობას“—ბანს აძლევს კავკასიონი...

* * *

მაგრამ ამ ერთობისა და შეთანხმებულ მუშაობის დროს, როდესაც მკლავი-მკლავში გაყრილი უნდა მივდიოდეთ რუსეთის ყველა დაჩაგრული და კერძოდ კავკასიის ერები, როდესაც არც ერთი კაკალი ტყვია უმიზნოდ არ უნდა იხარჯებოდეს, თუ არ საერთო მტრის წინააღმდეგ, ასეთ დროს, ამ საერთო რევოლუციონურ ჰიმნში, გულის მომწყვლელ დისონანსად, გაისმა სომეხ-თათართა ჟლეტა-ხოცვის ზათქი!.. ამ ბატონებმა ბრძოლის ველად ბაქო, ერევანი, შუშა, განჯა და სხვ. რომ აღარ იკმარეს, ტფილისში გადმოიტანეს ბრძოლის ასპარეზი და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაერივნენ ერთმანეთს!.. დაიგრიალა თოფებმა, დაიზუზუნა ტყვიებმა, დაიძრნენ ბორჩალოს თათრები, სომხებმაც გახსნეს თავიანთი არსენალები და გაიმართა ნამდვილი ომი, იმ განსხვავებით, რომ საერთაშორისო ომს კიდევ რაღაც კანონები უწერია ბარბაროსობის წინააღმდეგ, აქ კი არავითარ ადამიანობას, არავითარ შებრალებას ადგილი არა ჰქონდა! ულმობელად [illegible] უიარაღოებს, [illegible] მოკლულებს კი [illegible],—სჭრიდნენ ყურებს, ცხვირს და ყოველ ნაირად ასახიჩრებდნენ!.. [illegible] ნამდვილი საშუალო საუკუნეების ბარბაროსობა! ვინ გამოიწვია ასეთი [illegible]?—აურაცხელი ფაქტები [illegible]

[illegible]

ცხადია, ამ ტრაგედიის გამომწვევნი [illegible]

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსნეს. ბევრს სტრაჟნიკთაგანს იარაღი წაართვეს და თვით ხალხი შეიარაღდა. სალდათად კაცებს არავინ აძლევს. პრინცესა მიურატი საფრანგეთში გაიქცა.

◆ ამ დღეებში, საღამოს 7 საათზე, ანდრეევის ქუჩაზე, ვიღაც ხულიგანები თავს დაეცნენ ელექტრონის ტრამვაის მოსამსახურეთ გ. გოგუასა და გ. კუბანიშვილსა და რევოლვერით ორთავენი დასჭრეს. დაჭრილნი ამხანაგებმა მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ 6 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, კიროჩნისა და მიხეილის ქუჩის კუთხეში სამოცამდე ხულიგანი მოგროვდა და მიტინგი გამართა. მიტინგმა დაადგინა, რომ „კრამოლნიკებისა“ და „ბუნტოვშჩიკების“ დასჯა აუცილებლად საჭიროაო.

◆ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიასთან არსდება საგანგებო საბჭო ერევნისა, განჯისა ტფილისის და ბაქოს სომეხ-თათართა წარმომადგენლებისაგან, რომლებმაც ღონისძიებანი უნდა მიიღონ სომეხთა და თათართა შორის მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად.

◆ ფოთიდან ჩამოსულებმა გვიამბეს: „ამას წინად კაზაკებსა და ხალხს შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი დაიჭრა; წესიერება ქალაქის მილიციონერებმა აღადგინეს. ახლა ქალაქში სიმშვიდეა. მხოლოდ ბათუმის ამბები ძლიერ აღელვებს ადგილობრივ მცხოვრებთ. სამაგალითო წეს-რიგით მოქმედებენ მილიციონერები. დღე ისე არ გაივლის, რომ ქურდი, ან ხულიგანი არ დაატუსაღონ, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მიჰყავთ გასასამართლებლად. ამას წინად ფოთის მუშებმა მთავრობისაგან მიიღეს რამდენიმე ასი თოფი, რომელთა მეტი ნაწილი უვარგისი გამოდგა. უვარგის თოფებს უკანვე უბრუნებენ.

◆ ამ დღეებში კრება ჰქონდათ ტფილისის ფერშლებსა და ბებია ქალებს და შემდეგი პროგრამა შეიმუშავეს: 1. ქალაქში დაარსდეს დაჭრილთა შესახვევი პუნქტები და სასანიტარო რაზმები იქმნენ დაყენებულნი, 2. სასანიტარო რაზმები უნდა მოქმედობდნენ დოსტაქარ—ექიმების ხელმძღვანელობით. 3. სასანიტარო რაზმები ქუჩებზე ყოველ-დღე უნდა მორიგობდნენ, 4. ის პირნი, რომელნიც მოისმენენ ლექციებს პირველ სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ, მიღებულ იქმნენ მკურნალთა კავშირში და ფერშლების თანაშემწეებად ჩაირიცხნენ, 5. გამოიცეს მოწოდება, რომ სანიტარად, რაც შეიძლება, მეტი ხალხი ჩაეწეროს 6. ცენტრალური ბიურო ყველა პუნქტებზე საჭმელ-სასმლის თავის დროზე გაგზავნის თადარიგს უნდა განაგებდეს. 7. ამავე ბიურომ შუამდგომლობა უნდა აღძრას, რომ სასანიტარო რაზმებს უფასოდ შეეძლოთ ტრამვაიზე სიარული, და 8. კავშირის წევრთა ნიშნად დარჩეს ისევ წითელი ჯვარი, რადგან ამ ნიშანს, როგორც ყველა ეროვნების ხალხი, აგრეთვე ჯარი კარგად იცნობს. ეს პროგრამა განსახილველად ტფილისის მკურნალთა კრებას წარედგინა და მოწონებულ იქმნა.

გლეხთა კავშირის კრება მოსკოვში.

გლეხთა კავშირის კრება, სხვათა შორის, შეუდგა იმის გარკვევას, თუ რა ტაქტიკას უნდა ადგეს გლეხობა თავის ბრძოლაში.

ზოგი იმ აზრისა იყო, რომ საჭიროა მშვიდობიანი ბრძოლა, ზოგი კიდევ ამტკიცებდა, რომ მშვიდობიანის ბრძოლით ვერაფერს ვერ მივაღწევთო. რასაკვირველია, სამწუხაროა, როდესაც სისხლი იღვრება, მაგრამ თუ უსისხლოდ ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ, დეე დაიღვაროს სისხლი,—დამნაშავენი ჩვენ კი არ ვიქნებით, არამედ მთავრობა, რომელიც ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას არ ასრულებსო. მომეტებული ნაწილი იარაღის ასხმას ურჩევდა ამხანაგებს. საყურადღებოა, რომ კრებაზე იმყოფებოდა ერთი „პომეშჩიკი“ (მემამულე), რომელიც ამბობდა, რომ თუ გლეხები ძალით არ მიითვისებენ მიწას, სახელმწიფო საბჭო მათ არ მისცემს, ტყუილი იმედი ნუ აქვთო. არავითარი მშვიდობიანი გზა არ არის! საჭიროა მილიცია, რადგანაც მთავრობისა ჩვენ არა გვწამს-რაო. „გთხოვთ, დაამთავრა თავისი სიტყვა ამ მემამულემ, — როდესაც საბჭოში გაგზავნით წარმომადგენელს, შეიარაღებული დამცველი თან გააყოლოთო“. ერთმა გლეხმა კრება სიცილით დაჰხოცა, მან წამოიძახა: დავატყვევოთ ჩვენი მთავრობა და ეტაპით გავგზავნოთო თვითმპყრობელ სათათრეთში, ვინაიდან მთავრობას ეტაპიც და თვითმპყრობელობაც ძალიან უყვარსო.

იმ მიზნით, რომ გლეხთა კავშირი ორად არ გაყოფილიყო, ბიურო შეეცადა ისეთი რეზოლუცია შეემუშავებინა, რომელიც დააკმაყოფილებდა, როგორც მშვიდობიანობის მომხრეებს, ისე რევოლუციონერებს. რეზოლუციის ტექსტი ასეთი იყო: „აგრარული მოძრაობა მხოლოდ მაშინ მოისპობა, როდესაც მიწა მთელის ხალხის საერთო საკუთრებად გახდება. მაგრამ ასეთი ცვლილების მოხდენა და აგრარულ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას,—საყოველთაო, თანასწორ პირდაპირ და დახურულ კენჭის ყრით ამორჩეულს. ეს კრება უნდა მოწვეულ იქმნას არა უგვიანეს 1906 წლის თებერვლისა, ხოლო კანონი მის შესახებ ახლავე უნდა გამოცხადდეს. რათა მოთხოვნილება შესრულებულ იქმნას, საჭიროა, გლეხები შეერთდნენ და დაარსონ გლეხთა კავშირი, რომელიც ვალდებულია გლეხების ბრძოლაში ხელმძღვანელობა გასწიოს. კავშირმა გარდასწყვიტა, რომ გლეხებმა აღარ იყიდონ მიწა, არც იჯარით აიღონ. თუ გლეხების მისწრაფებას მთავრობა წინ გადაეღობება, მაშინ უნდა გამოცხადდეს გლეხების საერთო გაფიცვა. ისინი მაშინ უნდა დაუკავშირდნენ რკინის გზის მუშებისა და სხვა კავშირებს, რომ მათთან ერთად იბრძოლონ, აღარ მისცენ მთავრობას არც ერთი გროში გადასახადი და არც ერთი სალდათი. რადგანაც გლეხები ამ ბრძოლას უყურებენ, როგორც დიად და წმიდა საქმეს, კრებამ გარდასწყვიტა, მოისპოს არყის სმა. საჭიროა, მიწისა და მოქალაქობრივ უფლებებისათვის ბრძოლის დროს ფხიზლები ვიყვნეთ. „ძმებო, ჰფიცავთ“?—შეჰყვირა რეზოლუციის წამკითხველმა ორატორმა. „ვფიცავთ, ვფიცავთ“! დაიგრიალა მთელმა კრებამ და ყველამ მარჯვენა ხელი ასწია მაღლა. „მაგრამ,—დაამთავრა ორატორმა სიტყვა—ადვილად შესაძლებელია, რომ მთავრობამ არ შეასრულოს ჩვენი მოთხოვნილება, მაშინ დაიწყობა საშინელი არეულობა და ხალხის აჯანყება, და დამნაშავე იქნება მხოლოდ მთავრობა“.

ეს რეზოლუცია კრებამ მიიღო, მხოლოდ რედაქცია ცოტად შესცვალა. მაგალითად, რეზოლუციის თავში კრებამ გამოსტოვა ფრაზა: „აგრარული მოძრაობა მხოლოდ მაშინ მოისპობა“ და სხვა, და შეიმუშავა შემდეგი ტექსტი: „ხალხის ტანჯვა, რომელიც შედეგია მიწის სიცოტავისა, მხოლოდ მაშინ მოისპობა, როცა მიწა ხალხის საერთო საკუთრებად გადაიქცევა იმ პირობით, რომ ყველა მიიღებს მხოლოდ იმდენ ნაწილს, რამოდენის დამუშავებასაც შესძლებს თვითონ, ან თავის ოჯახის ძალღონით, ან ამხანაგობის წევრებთან ერთად“.

როგორც მკითხველი ხედავს, ასეთი პროგრამა ძალიან ჰგავს მიწის სოციალიზაციას.

შ. ნ.

რუსეთი

—

დავთრების არევ-დარევა. ამას წინად ლიფლანდიის გენ.-გუბერნატორსა და პსკოვის გუბერნატორს მეტად სასაცილო ამბავი დაემართათ.

რუსეთის გაზეთებში ხმა გავრცელდა, რომ ლიფლანდიიდან, სადაც სამხედრო წესები შემოღებული, პსკოვის გუბერნიაში რამდენიმე ათასი შეიარაღებული გლეხი მოდისო. პსკოვის გუბერნატორმა მოწინააღმდეგე გუბერნიის—ლიფლანდიის საზღვრებისკენ პოლიცმეისტერი გაგზავნა... მტრის ბანაკის დასაზვერად. მზვერავმა ისე დაზვერა მტრის ბანაკი, როგორც რუსები ზვერავდნენ ხოლმე იაპონელებს, და გუბერნატორს შეატყობინა: შეიარაღებული ხალხი რუსეთის (ე. ი. პსკოვის გუბერნიის) საზღვარს მოადგა და ჩქარა ჯარი გამოგზავნეთო. პსკოვის ადმინისტრაციამ ხელადვე შეადგინა მებრძოლი რაზმი ზარბაზნებითა და ტყვიის მტყორცნელებით და „მტრის“ დასაზვერად გაგზავნა. მოსალოდნელი იყო დიდი ბრძოლა: შტაბის უფროსმა ბრძოლის გეგმა შეიმუშავა, უფროსებმა „პატრიოტული“ სიტყვები წარმოსთქვეს და სალდათებს გასამხნევებლად არაყი დაალევინეს. ცოტა ხნის შემდეგ, პსკოვის გუბერნატორმა შემდეგი დეპეშა მიიღო მოწინააღმდეგე გუბერნიის (ლიფლანდიის) უფროსისაგან: „პსკოვის გუბერნიიდან ლიფლანდიისკენ აუარებელი შეიარაღებული ხალხი მოდის. უმორჩილესად გთხოვთ, დაუყოვნებლივ გაჰფანტოთ ეგ ბრბო“. თავის მხრივ ლიფლანდიის გუბერნატორსაც შეუდგენია არმია და შეიარაღებულ ხალხის დასაზვერად გაუგზავნია. ჯარებმა „შეიარაღებული ბრბო“ ვერსად იპოვნეს და იმედ-გაცრუებულნი შინ დაბრუნდნენ. როგორც ამბობენ, „პატრიოტი“ ოფიცრები უკმაყოფილონი დარჩნენ, რადგან შემთხვევა არ მიეცათ თავიანთ ერთგულების დასამტკიცებლად და ორდენების მისაღებად.

◆ სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირის ბიუროში ვარშავის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატებმა შემდეგი განცხადება შეიტანეს: „პოლონეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი და მოსამსახურენი საკუთარ კავშირს ვაარსებთ შემდეგის სახელით: „**პოლონელ ფოსტა ტელეგრაფის მსახურთა კავშირი**“, რომელსაც ვარშავაში ქმნება ბიურო, და რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირს ფედერატიულად ვუერთდებით“.

◆ **რევოლუცია ლიფლანდიაში**. ლიფლანდიის გუბერნატორმა შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „სავაჭრო გემების მატროსები გაიფიცნენ. გამოგზავნეთ ერთი კრეისერი და ორი ნაღმოსანი. აჯანყებულებმა დღეს რკინის გზა მოგვიჭრეს. ჯარი ზღვით გამოგზავნეთ. ჩქარა მოგვაშველეთ დიდი ჯარი. თქვენი შიკრიკები ვალკში დაიჭირეს“. რუსეთის გაზეთები იუწყებიან: „რიგიდან საშინელი ამბები მოდის. სამი დღეა, რაც ტელეგრაფი არ მუშაობს. კერძო ცნობებით, რიგაში და მთელ გუბერნიაში ნამდვილი რევოლუცია დაიწყო. ყველგან სისხლი იღვრება. მიზეზი აჯანყებისა ის იყო, რომ ლიფლანდიის გუბერნიაში სამხედრო წესები შემოიღეს. მთავრობა წინდაწინვე მოემზადა და მთელი რიგა ჯარითა და ტყვიის-მტყორცნელებით გაავსო, მაგრამ პროვინციიდან აუარებელი ხალხი ჩაიდა ქალაქში და რამდენჯერმე დიდებული დემონსტრაცია გამართა. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ მთელი ქალაქი სისხლით მოირწყო. სახაზინო შენობები იწვის. მუშებმა, დიდის ბრძოლის შემდეგ, ხელთ იგდეს რკინის გზა, ფოსტა და მთელი ქალაქი მოსჭრეს ქვეყანას. ლიბავიდან რიგაში ფლოტი გაგზავნეს.

◆ **რევოლუცია**. საზღვარ-გარეთის გაზეთებში რამდენიმე საყურადღებო დეპეშაა დაბეჭდილი. ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ირკუტსკი მთლად დაიწვაო. ვლადივოსტოკში ხელმეორედ აჯანყდა ჯარი. ხარბინში ნამდვილი ომი დაიწყო აჯანყებულ და მეფის მომხრე ჯარებს შორის. ყველგან, თურმე, საშინელი სისხლის ღვრაა.

ავსტრიის გაზეთების სიტყვით, ხარკოვი იწვის, ჯარი ხულიგნებს მიემხრო. ქუჩები დახოცილებით სავსეა. ეკატერინოსლავიც იწვის. ხულიგნები ებრაელებს იკლებენ.

◆ პოლონეთის საზღვარზე **დარაჯთა რაზმი გაიფიცა**. პოლონელებმა ამით ისარგებლეს და იარაღი შემოიტანეს.

◆ იუსტიციის მინისტრი **მანუხინი სამსახურიდან გადადგა**. იმის ალაგზე დანიშნეს კიევის სამოსამართლო პალატის პროკურორი ლოპუხინი.

◆ **ჯარში მოძრაობა ძლიერდება**. ვარშავაში საპიორები აჯანყდნენ. მთავრობა შეშინდა და ხელი არავის ახლო. ლიუბლინში, რიაზანის პოლკში ჯარმა წითელ დროშებით დემონსტრაცია მოახდინა ქალაქში.

◆ მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ხრუსტალიოვის დაპატიმრებამ უმაღლეს წრეებში დიდი **აურ-ზაური გამოიწვია**. ეს საქმე მინისტრთა საბჭომ განიხილა და, ხმის უმეტესობით, გადასწყვიტა, მოერიდოს ძალასა და რეპრესიას.

ამავე საგნის შესახებ ხელმწიფის სასახლეში კრება ჰქონდათ რეაქციონერებს. კრებას დაესწრნენ დურნოვო, სტიშინსკი, შტიურმერი, პობედონოსცევი, ტრეპოვი და რეაქციის მეთაური იგნატიევი. კრებაზე წაიკითხეს მოხსენება იუსტიციის მინისტრის მანუხინისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხრუსტალიოვის დაპატიმრება უკანონოაო. ამ ამბავმა განხეთქილება შეიტანა კრებაში.

◆ „[illegible]“-ისა და „პეტ. ვედ.“-ის გამომცემელი აცხადებს: აგერ ორი დღეა, რაც ჩემი გაზეთები არ გამოდის. მიზეზი ის არის, რომ ამწყობებმა **უარი სთქვეს** მეშჩერსკის უკანასკნელ წერილის აწყობაზე და თხოულობენ, ნება მოგვეცით, წერილს ჩვენი კომენტარია მივაწეროთო.

◆ ვორონეჟისა და პოლტავის გუბერნიებში **გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს**.

◆ მთავრობამ ყუბანის ოლქში კაზაკთა მესამე **მობილიზაცია** მოახდინა.

◆ ებრაელების დარბევის დროს, კიევში ხულიგნებმა **აიკლეს და დასწვეს** 588 მაღაზია და 188 სახლი. ზარალი 4 მილიონს უდრის.

◆ **მანიფესტის გაუქმება**. რუსეთში ორი მთავრობაა: ერთი ვიტტესი, რომელიც არაფერს არ აკეთებს, და მეორე—დურნოვოსი, რომელმაც ფაქტიურად 17 ოქტომბრის მანიფესტი გააუქმა და თვითონ რუსეთის დიქტატორად გახდა. აი, მაგალითი დურნოვის თავგასულობისა: „შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ გუბერნატორებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა: ძალიან საიდუმლოო. პოლიციის უფროსებს წინადადებას გაძლევთ, აღმოაჩინოთ ყველა მეთაურნი, აგიტატორები და დელეგატები პოლიტიკურ და აგრარულ მოძრაობისა. ყველანი დააპატიმრეთ და ისე მოექეცით, როგორც მინისტრი გიბრძანებთ“. ამრიგად, თავისუფლებას დიდი სიფრთხე მოელის.

უცხოეთი

—

ბელგია. ბრიუსელელ სოციალისტთა ჯგუფის ინიციატივით, საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა, მომავალ წლის 9 იანვარს, პეტერბურგის „9 იანვრის“ აღსანიშნავად, ყველგან დემონსტრაციები მოახდინოს. ამ დღეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა კრებები უნდა გამართონ და რუსეთის რევოლუციაზე ილაპარაკონ. 7, 8 და 9 იანვარს ბრიუსელში საერთაშორისო სოციალისტური ბიურო კრებას მოახდენს და განიხილავს საერთო პოლიტიკურ გაფიცვის მნიშვნელობას ომის დროს. ამ კრებას საფრანგეთიდან დაესწრებიან დეპუტატი ვაიანი და ჟორესი, ინგლისიდან—ჰაინდმანი, გერმანიიდან—ბებელი, ზინგერი, კაუცკი და როზა ლიუქსემბურგი.

ინგლისი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბელადმა კეირ გარდიმ ამას წინად პარტიის კრებაზე მომავალ არჩევნების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, რომ პარლამენტში მუშათა პარტია, სულ ცოტა, 45 დეპუტატს მაინც გაგზავნისო. კეირ გარდის სიტყვით, 45 დეპუტატი ვერაფერს გაარიგებს პარლამენტში, მაგრამ, თუ მუშათა დეპუტატები ირლანდიის დეპუტატებს შეუერთდნენ, ამ ძალას დიდი მნიშვნელობა ექმნება პარლამენტშიო.

როგორც ვიცით, ინგლისის პარლამენტში მუშებს მხოლოდ ორიოდე დეპუტატი ჰყავთ, მაგრამ მუშების ინტერესებს აქამდის მძლავრად იცავდნენ ირლანდიის ყველა დეპუტატები.

საფრანგეთი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სოციალისტების ბელადმა ჟორესმა შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა შესახებ კლერიკალებისა და ნაციონალისტებისა, რომელნიც სოციალისტებს უსაყვედურებდნენ, თქვენ სამშობლო არ გიყვართო, და თავის აზრს მხოლოდ იმით ასაბუთებენ, რომ ჩვენ გერმანელები არ გვეზიზღებაო. სოციალისტების მიზანი ის არის,—განაცხადა ჟორესმა,—რომ შეაერთოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატი და ამით ბოლო მოუღოს ომებს. პროლეტარიატი იმიტომ არის ომის წინააღმდეგი, რომ ომით გამოწვეული ყველა უბედურება, უმეტეს ნაწილად, პროლეტარიატს აწვება კისერზე. პროლეტარიატი ებრძვის კაპიტალისა და ავტოკრატიის მთელი ქვეყნის ბატონობა-მბრძანებლობას. 1870 წელს მუშა-ხალხს იმდენი ძალა არ ჰქონდა, რომ საფრანგეთ-გერმანიის ომისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ ამჟამად მუშა ხალხს ისეთი იარაღი უჭირავს ხელში, რომ ომის მოტრფიალეთ მალე ხელ-ფეხი შეეკვრებათ.

კორესპონდენცია

—

ყაზახი. 26 ნოემბერს ხმა დაირხა, ხვალ თათრები სომხებს დაეცემიანო, მაგრამ ეს უმეტესობას არ სჯეროდა. 27 დილით თათრებმა სამჯერ გაისროლეს თოფი და დასჭრეს ერთი ქართველი მოხელე და ერთიც თათარი თარჯიმანი. 28 დილით რამდენიმე ათასმა თათარმა ქალაქს ალყა შემოარტყეს და ბაზრის აკლება დაიწყეს. იკლებდნენ და სწვავდნენ დუქნებსა და მაღაზიებს და ნადავლი ურმებით მიჰქონდათ. ჯარს და პოლიციას ხელიც არ გაუნძრევიათ. ხალხმა ყველაფერი დასტოვა და ყაზარმებს შეაფარა თავი. მეორე დღეს იგივე განმეორდა. ამ ორი დღის განმავლობაში სისხლი არ დაღვრილა. გაძარცვეს და აიკლეს ყველა, თათრების გარდა: სომხები, რუსები, ქართველები და სხ. მესამე დღეს ხმა გავრცელდა, რომ თათრები სისხლს დაღვრიან და სჯობია აქაურობას თავი გავაცალოთო. იმავე დღეს ხალხმა ყველაფერს თავი მიანება და წამოვიდა. თათრები რუსებს და ქართველებს გზას აძლევდნენ, სომხებს კი ქალაქიდან არ უშვებდნენ. ქალაქს მხოლოდ ერთი კუთხე დარჩა გაუძარცვავი. ქალაქის ნახევარი დანგრეულია და დამწვარი. მე მესამე დღეს გამოვედი იქიდან და არ ვიცი, კიდევ დარჩა რამე ქალაქიდან თუ უკანასკნელ სახლამდის გადაიწვა. სომხები შუაში არიან მომწყვდეულნი და არ იციან, როგორ მოიქცნენ. თათრებმა სომხებს გზები შეუკრეს და რას უპირობენ—არ ვიცი.

წერილი რედაქციის მიმართ

—:—

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

ბ. ერგნელი თავის წერილში („ივ.“ № 204) „ქართლის ამბები“ მოგვითხრობს შემდეგს: „დიდი ჭირი და ვარამი გამოიარა გორის მაზრამ მას შემდეგ, რაც ღენერალი ამილახვარი ნამესტნიკმა დანიშნა ქართლის დასამშვიდებლად და თან დრაგუნ-კაზაკები გაატანა. მთელ მაზრას ნაცარ-ტუტა აადინეს: მრავალი წუთისოფელს გამოასალმეს, მრავალი დაატუსაღეს და სამშობლო ქვეყნიდან რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს, სოფლებში ეგზეკუციები ჩააყენეს, ხალხი სულ გაძარცვეს და ქონება დაუნიავეს... *). კასპიდან სოფ. ქვემო-ჭალისკენ გავსწიე. შევედი თუ არა ამ სოფელში, დავინახე უშველებელი, ძვირფასი შენობა. მითხრეს, გენერალ ამილახორის სახლი არისო. დღეს კი უპატრონოდ და უბატონოდ არის მიტოვებული, მთელს ცხოვრებას მოურავები სჭამენ და პატრონების მოსვლას ვერა ჰხედავენ“.

ბ. ერგნელის წერილში ბევრი უცნაური რამ არის ნაამბობი, ვითომ ქართლში ნახული და გაგონილი, მაგრამ მე ვეხები მხოლოდ იმას, რაც შეეხება თავად ივანე გივის ძეს ამილახორს და მის სახელს. სოფელ ქვემო-ჭალის სახლ-კარი და მამული თავადის ამილახორისა აბარია მის დას—ქვრივს ნ. გ. ტერიევისას, რომელიც მუდმივ იქა სცხოვრობს და თვითონ განაგებს მამულის ანგარიშს და ყოველ დამოკიდებულებას გლეხკაცობასთან თვითონ სწევს. მას უყენია მამულში მხოლოდ წლიური მუშები და ერთი დარაჯი, — მოურავები არა ჰყავს, რომლებიც, ვითომც „სჭამენ მთელ ცხოვრებას“, და კიდეც რომ ჰყოლოდა, რას შესჭამდნენ, როდესაც მამულს წელს არა შემოაქვსრა.

ბ. ერგნელის ნაამბობი მეტად უცნაურია; ცხადი უნდა იყვეს, რომ სხვებს შეუცდენიათ. თავადი ამილახორი განსაკუთრებულის უფლებით იყო დანიშნული გორისა და დუშეთის მაზრებში. მას ევალებოდა, მოესპო ის საუბედურო განხეთქილება, რომელმაც თავი იჩინა გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის; განსვენებული იმ აზრისა იყო, რომ ამისთანა, ძმათა ბრძოლა არავითარ სანუგეშოს არ მოასწავებდა და ეს გარემოება მას დიდად აწუხებდა. მაგრამ ამასთანავე გულ-კეთილი თავადი ამილახორი დიდი წინააღმდეგი იყო სასტიკ ზომებისა და ჰფიქრობდა, რომ მამობრივულის დარიგებით და რჩევით ხალხს დაამშვიდებდა. მართალია, მას ახლდნენ ყაზახ-დრაგუნები, მაგრამ იმათ არც ერთი კაცი არ მოუკლავთ, არც ერთი კაცი არ დაუჭრიათ; მხოლოდ თავადი ხალხს ეუბნებოდა: თუ არ დამშვიდდებით, შეიძლება, მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღოსო. თ. ამილახორს არამც თუ არც ერთი პირი არ გადუსახლებია, არც კი განუზრახავს ვისიმე გადასახლება,—ამის მაგალითს ვერავინ ვერ მოიყვანს.

თ. ამილახორი გულკეთილი და პირში მთქმელი კაცი იყო და ამასთანავე ყველა ქართველს თავის მოძმედ და მოკეთედ სთვლიდა. სამოცდა-თექვსმეტი წლის მოხუცი ხშირად, როცა შეხვდებოდა, მკაცრის კილოთი მამობრივულ რჩევას აძლევდა ახალ თაობას, აღზრდილს ამ დროის სულ სხვა მიმართულებით, რის გამო ბევრს სწყინდა ამგვარი დარიგება და ბევრნიც გულკეთილობას კი არა ხედავდნენ ამაში, არამედ სიმკაცრეს და სიმძლავრეს.

მართალია: გულშემზარავი შეტაკება მოხდა დუშეთის მაზრაში გლეხ-კაცთა და ჯარის კაცთა შორის, რომელნიც ჩაყენებულნი იყვნენ სოფელში ბევრით წინად თ. ამილახორის დანიშვნისა, და ამ შეტაკებამ იმსხვერპლა რამდენიმე გლეხ-კაცი და თვით თ. ამილახორიც. როცა ეს ამბავი შეატყობინეს თ. ამილახორს, იქ დამსწრეთ შეუძლიანთ დაამტკიცონ, რა სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა იმაზედ. თუმცა დიდი დაღალული იყო, სამსახურის გამო მგზავრობით, მაინც მაშინვე განიზრახა იქ წასვლა, ბევრი ურჩევდა, ან სხვა გაეგზავნა, ან ერთი დღე მაინც მოეცადნა, რომ შეესვენა და შორი გზა აეტანა, მაგრამ თ. ამილახორი განრისხდა, რჩევა უარჰყო და მსწრაფლ გაემართა გზას და გაიყოლია თან მხოლოდ ერთი მოხელე და ერთიც სამხედრო მხლებელი. ეს მოგზაურობა იყო უკანასკნელი, რადგან მუხუცებულმა ჯანმა ველარ აიტანა მუდმივი აღელვება, დიდი შრომა და ამასთან მცირედი გაციება საკმარისი შეიქმნა, რომ ემსხვერპლა მისი სიცოცხლე.

მომავალში ჩვენი საზოგადოების მემატიანე, როდესაც შეეხება თ. ამილახორის მოღვაწეობას, სიმართლეს აღადგენს და დღეს კი, მე როგორც დაახლოვებული პირი განსვენებულისა, ვალად ვრაცხ ჩემ თავს, ვაუწყო საზოგადოებას ის, რაც ცილისწამებაა განსვენებულის სახელისა.

თ-დი ნ. ა. თუმანიშვილი.

---

*) ვბეჭდავთ უცვლელად გენ. ი. გ. ამილახორის სიძის — თავ. ნ. თუმანიშვილის — წერილს, რომელშიაც ავტორი — ასე გასინჯეთ — დიდ პატრიოტად და ქართლის გლეხობისათვის თითქმის თავის გამწირველ პირად გვისახავს გარდაცვალებულ გენერალს, რომელიც ნამდვილად, როგორც ყველამ იცის, იყო დიდი ფეოდალი და ერთგული მოსამსახურე თვითმპყრობელობისა. ჩვენ მაინც საშუალებას ვაძლევთ თავ. ნ. თუმანიშვილს გააგებინოს საზოგადოებას თავისი აზრი გენერალ ამილახორზე.
რედ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ. პავლე ვ. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობები

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.
(ადგილობრივის საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისაკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისაკენ: ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დილის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ.-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ,

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისაკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ

სურამისაკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ., 4) დილის 11 ს. და 33 წ,; 5) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისაკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის 2 ს. და 3 წ.

ბაკურიანისაკენ—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისაკენ: სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისაკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისაკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის ს. 13 წ.

განცხადებანი

ამ წლის 6 დეკემბრიდან გამოვიდა
ყოველ-დღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი
„ს ხ ი ვ ი“
ჩვენი გაზეთი კავკასიის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების ორგანოა.

რევოლუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მიანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალი იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალ დემოკრატია, და მედგრათ გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.

გაზ. „სხივი“ წლიწადში ღირს 6 მან., თვეში—50 კაპ., თითო ცალი 3 კაპ.

რედაქციის ადრესი: ველიკოკნიაჟესკაია, № 17 (ვორონცოვის ძეგლიდან მე-9 სახლი).

ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში.
ვერაზე უფასო სამკითხველოში ნინო კალანდაროშვილთან. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში შიო ქუჩუკაშვილთან; ნაძალადევში უფასო სამკითხველოში მარიამ ელიავასთან. ვოკზალზე I კლასის ბუფეტში შალვა ჭანტურიშვილთან.
ტფილისს გარეთ.
ადგილობრივ სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციებში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Схиви“.

მასწავლებელთა საყურადღებოდ.
დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი
არითმეტიკული კრებული
პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით), ფასი ერთი აბაზი.
ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანათზე აბაზი დაეთმობა.
საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.
მისამართი: Тифлисъ, Книжный магазинъ „Цодна“. (20—12)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 5